# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 6 ივლისი, 2007 წელი.

№ 130 (5731)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## მკვდრებს თუ გაგვიტანენ საკუთარი ბინებიდან, თორემ აქედან გამომსვლელი არა ვართ! – აცხადებენ მობინადრეები



3

## ბატონო კოვალენკო, ეგებ გაგვიმხილოთ, რომელმა საერთაშორისო ორგანიზაციამ აღიარა „სამხრეთ ოსეთი?“



2

## უმრავლესობის ლიდერები თანაპარტიელებს ისე ექცევიან, როგორც ბატონები ყმებს!..



2





16

## წყალი, როგორც „კეთილი ნების ჟესტი“

## ისტორიული შანსი და პერსპექტივები საგრძნობლად შემცირდება, თუ...



4

SOCHI 2014 CANDIDATE CITY

## ჩავიდა, ნახა, გაიმარჯვა

17

## რატომ ჩამოდიან ჩინელები საქართველოში?

3 15



● არავითარი ოსური და ქართული მხარეები არ არსებობს, არის მხოლოდ ქართული მხარე და ცხინვალში ჩაბუნაგებული ბანდიტების ხროვაო



№ 130. პარასკევი, 6 ივლისი, 2007 წელი.

◉ აქტუალური თემა

# ოპოზიცია საარჩევნო ბარიერის დაწევაზე ვერ ილაპარაკებს

## უმრავლესობის ლიდერები თანაპარტიელებს ისე ექცევიან, როგორც ბატონები ყმებს

**ოპოზიცია 7-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის დაწევის მომხრე იყო, მაგრამ ხელისუფლებამ ამას ისეთი გარანტი დაუპირისპირა, რომ ოპოზიცია გააჩუმა. კერძოდ, ხელისუფლების შემოთავაზებით, თუ ერთი პარტიისთვის ბარიერი დაიწევს, მაშინ ის ორსუბიექტიანი ბლოკისთვის აიწევს და კიდევ უფრო მაღალი სამსუბიექტიანი ბლოკისთვის იქნება. რა თქმა უნდა, ასეთი გარანტიები ოპოზიციას ხელს არ აძლევს. ამიტომაც ამ ბოლო დროს საარჩევნო ბარიერის დაწევაზე თითქმის აღარ ლაპარაკობს.**

ბევრი რამ არის გასარკვევი. ძნელია იმის წარმოდგენა, როგორი იქნება პოლიტიკურ ძალთა განლაგება საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისთვის. ცნობილი არ არის, ვინ როგორ დაჯგუფდება, შემოვა თუ არა პოლიტიკაში ახალი მოთამაშე – ირაკლი ოქრუაშვილი...

კულუარებში ლაპარაკობენ, რომ უმრავლესობიდან პარლამენტის წევრები მალე სხვა პარტიებში გადავლენ. ამ ვერსიას ოპოზიციის წარმომადგენლები ეთანხმებიან.

– ეს მოსალოდნელი იყო, რადგანაც მომავალი პარლამენტი 150-მანდატიანი იქნება, საიდანაც პარტიული სიით მხოლოდ 100 დეპუტატს გაიყვანენ. ისინი, ვისაც ამბიციები კი აქვს, მაგრამ პარლამენტში სახელისუფლებო სიით მოხვედრის გარანტია არა აქვს, უკვე ზრუნავენ მომავალზე. ეძებენ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა სიებშიც შეიძლება აღმოჩნდნენ. ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით ორი ძირითადი ნაკადი იქნება – უშუალოდ ოქრუაშვილის პარტიისკენ მიმავალი და სხვა პარტიებში ადგილების მაძიებელი, – ამბობს მემარჯვენე მანანა ნაჭყებია.

– უმრავლესობის ლიდერები დანარჩენ თანაპარტიელებს ისე ექცევიან, როგორც ბატონები ყმებს. ამ ადამიანებმა ეს უსამართლობა ვერ აიტანეს და, რა გასაკვირია, თუ მათგან მიდიან, – ასკვნის მრეწველი გია ცაგარეიშვილი.

კონსერვატორი კახა კუკავა მიიჩნევს, რომ ერთნაირი პროგრამების მქონე პოლიტიკური ორგანიზაციები აუცილებლად ერთად უნდა იყვნენ, ხოლო თუ ეს არა სურთ, ესე იგი, კორუმპირებულები არიან. კონსერვატორები შემოდგომაზე კონცეფციის გამოქვეყნებას და ამ თემაზე საჯარო დისკუსიის გამართვას გეგმავენ.

იყო დრო, როდესაც ლეიბორისტები და რესპუბლიკელები მხოლოდ გაზეთების მეშვეობით, თანაც არცთუ სასიამოვნო ეპითეტებით ამკობდნენ ერთმანეთს. მაგრამ მიხვდნენ, რომ ურთიერთობის ასეთი ფორმა არასწორი იყო, მაგრამ ეს ორი პარტია რომ ვერ გაერთიანდება, ცხადია.

ლაპარაკია იმაზე, რომ ოპოზიცია მომავალი არჩევნებისთვის – ორი ან სამსუბიექტიანი იქნება. თეორიულად, რამდენიმე ბლოკის ჩამოყალიბება გამორიცხული არ არის, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი.

**მზია გელენავა**

◉ კანონმდებლები

# აზარტულ თამაშებზე ასაკობრივი ზღვარი დადგინდა

**პარლამენტმა აზარტულ თამაშებზე ასაკობრივი ზღვარის დადგენის შესახებ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებს მესამე მოსმენით უყარა კენჭი.**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტში ნათქვამია, რომ 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს სამორინეებში თამაში ეკრძალებათ, დანარჩენ აზარტულ თამაშებში მონაწილეობაზე კი შეზღუდვა მხოლოდ 18 წელზე გავრცელდება. ამ ასაკობრივი ზღვარის თაობაზე მთავრობასა და პარლამენტს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო. კანონპროექტის პირველ ვარიანტში ნებისმიერ აზარტულ თამაშზე აკრძალვა მხოლოდ 18 წლამდე ვრცელდებოდა, პარლამენტის თავმჯდომარემ მოითხოვა, რომ ეს ზღვარი 21 წლამდე გაზრდილიყო კანონპროექტის ავტორები კი აცხადებდნენ, რომ თუ 18 წლის ასაკიდან ადამიანს სამეწარმეო საქმიანობის უფლება ენიჭება, არასწორი იქნებოდა, რომ მას, ვთქვათ, თავისავე ორგანიზაციაში შესვლა აკრძალვოდა. საბოლოოდ, მთავრობა და პარლამენტი შეთანხმდნენ. თუმცა, დეპუტატების უმეტესი ნაწილი მაინც მიიჩნევს, რომ შეზღუდვა ყველა სახის გასართობ დაწესებულებასთან დაკავშირებით, 21 წლამდე უნდა ყოფილიყო. კანონპროექტი სამივე მოსმენით უკვე მიღებულია. შესაბამისი ცვლილება შევიდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც, რომლის მიხედვითაც, თუ აზარტული თამაშის ორგანიზატორი – 18 წლამდე, ხოლო კაზინოს მფლობელი 21 წლამდე ახალგაზრდას თავის დაწესებულებაში შეუშვებს, ის 1000 ლარით დაჯარიმდება. აზარტული თამაშების ორგანიზატორებს თავის დაწესებულებაში ვიდეოკამერების დამონტაჟებაც ევალებათ.



**მარიამ ხურციძე**

◉ სასურველი – რეალობად

# შევეცდებით, ეგ გასაღები იქ გადავდოთ, საცა წესითა და რიგით უნდა იდოს – თბილისში

## ბატონო კოვალენკო, ეგებ გაგვიმხილოთ, რომელმა საერთაშორისო ორგანიზაციამ აღიარა „სამხრეთ ოსეთი“?

**„აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას... ადასტურებს... თავის ვალდებულებებს, მხარი არ დაუჭიროს სეპარატისტულ რეჟიმებს და არ დაამყაროს მათთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა კავშირები, არ გაუწიოს მათ ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო და სხვა დახმარება... გმობს სეპარატისტული რეჟიმების დესტრუქციულ პოზიციებს, რაც ხელს უშლის კონფლიქტების პოლიტიკურად მოგვარების ურთიერთმისაღები შეთანხმებების მიღწევას, დევნილთა და ადგილგადანაცვლებულ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო და ღირსეულად დაბრუნებას... ადასტურებს რა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია, თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები საქართველოს ხელისუფლების თანხმობის გარეშე:**

**აძ სეპარატისტულ რეჟიმებთან არ განახორციელებენ სავაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ, სატრანსპორტო და სხვა ოპერაციებს;**

**ბძ ოფიციალურ კონტაქტებს არ დაამყარებენ მათს ტერიტორიებზე არსებული სტრუქტურების წარმომადგენლებთან ან თანამდებობის პირებთან. ასევე, მათს მიერ შექმნილი შეიარაღებული ფორმირებების წევრებთან;**

**გძ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები თავის ტერიტორიებზე არ დაუშვებენ სეპარატისტთა ხელისუფლების წარმომადგენლობებსა და ხელისუფლების ოფიციალურ პირთა ფუნქციონერებს...“**

ეს ფრაგმენტია 1995 წლის 26 მაისის მინსკის სამიტზე მიღებული დოკუმენტისა. რითაც დსთ-მ, ანუ რუსეთმა, მხარი დაუჭირა სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციების ამ საკითხებზე მიღებულ სპეციალურ რეზოლუციებს და, მათ საფუძველზე, ზემომოტანილი ივალდებულა.

იგივე გაიმეორა დსთ-ს 1997 წლის 28 მარტის სამიტმა. პლუს, დაგმო, უკანონო უწოდა აფხაზეთის 1996 წლის 23 ნოემბრისა და 1996 წლის 7 დეკემბრის ე. წ. საპარლამენტო არჩევნებს; პლუს, ჟენევის მოლაპარაკებების ჩაშლაში სეპარატისტები დაადანაშაულა.

რაკი დსთ, ფაქტობრივად რუსეთი იყო, არის და იქნება, ასე ვიტყვი: (შესატყვისი სიტყვების მოძებნა მიჭირსძ მოსკოვი ისე აშკარად ცინიკურად, უტიფრად აკეთებს ამ ვალდებულებების საწინააღმდეგოს, რომ ეს ჩვენში, სამწუხაროდ, უკვე ბალღმაც კი იცის.

ეს იმდენად ცხადზე უცხადესია, რომ, ალბათ, უპრიანი იქნებოდა, წერტილი აქ დამესვა. მკითხველს განსჯაც აღარ დასჭირდებოდა, იმდენად ზედაპირზე ძევს ყველაფერი, მაგრამ მოსკოვი „მიღწეულს“ არა სჯერდება. აგერ, რუსეთის ფედერაციის ელჩმა საქართველოში ბატონმა **ვიაჩესლავ კოვალენკომ** „ახალ მიჯნათა“ დასაძლევად გაიწია. ბრძანა, ემაგ რაღაცა დროებით ადმინისტრაციულ ერთეულს შეეშვით, რა არის, ვის დაჰკარგვია, კონფლიქტის მოგვარება უშუალოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარბული 2 სუბიექტის – საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საქმეაო.

ვინ-ვინ და დიპლომატმა მართლაც შვიდჯერ რომ უნდა გაზომოს, ვიდრე გაჭრიდეს, ანუ კარგად გაიაზროს, ვიდრე რამეს იტყოდეს. ბატონმა კოვალენკომ კი შეიძლება მისი ნათქვამი ასეც გავიგოთ – მოლაპარაკებებიდან გამოთიშა მართლაც არაფრად საჭირო რუსეთი და მართლაც ვიღაცის ტიკი-ტომარა ჩრდილო ოსეთი, საცა ბოევიკებს აქეზებენ ჩვენი სისლის დასანთხევად.

ბატონო ელჩო, ყელიდა ჩაგვეხრინწა ძახილით, ჩვენს საქმეს თავად მივხედავთ, არც რუსეთი გვინდა, არც არავინ, ოღონდ ხელს ნუ შეგვიშლითო და მოსკოვს ვერა შევასმინეთ რა. თქვენ თუ ამ საქმეს მოგვიგვარებთ – თანამემამულეებს ჩრდილოეთისკენ აქნევინებთ პირს, სიცოცხლეშივე ძეგლს დაგიდგამთ და აფხაზეთში არა ნაპარავად, ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევით შეძენილ-აშენებულს, არამედ, ყოვლად კანონიერ პრესტიჟულ აგარაკსაც გიფეშქაშებთ, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად. მაგრამ ის კი რაღამ გათქმევინათ, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებული ორი სუბიექტიო? ოფიციალური, მოსკოვი, თავად ბატონი პუტინი ოფიციალურადვე აღიარებდა და აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ასევე ოფიციალურად, მის განუყოფელ ნაწილებად მიიჩნევს. მაშ, როგორღა შეიძლება ნაწილი მთელის თანაბარუფლებიანი სუბიექტი იყოს?! დავიბენი: მოსკოვის ოფიციალურ პოლიტიკურ კურსს ეწინააღმდეგებით, თუ რაღაც ისეთი შეიტყეთ, რაც არც მოსკოვმა უწყის ჯერ და არც თბილისმა? რომელმა საერთაშორისო, ამის უფლების მქონე ორგანიზაციამ ჩაგჩურჩულათ, სამხრეთ ოსეთი ოფიციალურად აღიარებულიაო – გაერომ? ეუთომ? ევროსაბჭომ? რომელმა? გაგვიმხილეთ, თორემ, დაკონკრეტების გარეშე, თქვენი ნათქვამი ჰაერში გამოკიდებული რჩება. თანაც, შესაძლოა, სწორედ ამ საერთაშორისო ორგანიზაციებმა თქვენი ეს პოსტულატი ცილისწამებად აღიქვან და პასუხიც გაგებინონ. აქეთ კი მოსკოვი გაგიბრაზდეთ, რას გვიმალავდი ამდენი ხანი, თუკი ასეთი მნიშვნელოვანი რამ იცოდიო. გადაწყვიტეთ, ბატონო ელჩო, თორემ ჩვენი პრეზიდენტიც გაცხარდა და მოსხიპა – **არავითარი ოსური და ქართული მხარეები არ არსებობს, არის მხოლოდ ქართული მხარე და ცხინვალში ჩაბუნაგებული ბანდიტების ხროვაო.**

ვიცით, როგორც გაგალიზიანათ სანაკოევის ბრიუსელსა და ბათუმში გამოსვლებმა. მით უფრო, რომ მოსკოვის ჭინთვების მიუხედავად, სეპარატისტები არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას არ გააკარეს. ისიც მშვენივრად ვუწყით – და ეს არაღიარებული (სწორედ ასე მოიხსენიებენ სეპარატისტულ აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთს საერთაშორისო ორგანიზაციებიძ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ე. წ. პარლამენტის ე. წ. ვიცე-სპიკერმა იური ძოწოითმაც დაადასტურა ამასწინანდელ ინტერვიუში: **სეპარატისტები მხოლოდ ისე იქცევიან და მოიქცევიან, როგორც მოსკოვი უბრძანებსო. მერედა, მოგწონთ, როგორც იქცევიან? რა ვიცი, ყველა სამიტზე კი დამნაშავე ბავშვებივით კუთხეში დააყენეს...**

**ის კი მართალია, რომ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება ბევრად არის დამოკიდებული რუსეთზე. ძოწოითის თქმით, ამის გასაღები სულაც მოსკოვში ძევს. ჩვენ კი შევეცდებით, სწორედ საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, ეს გასაღები იქ გადავდოთ, საცა წესითა და რიგით უნდა იდოს – თბილისში, რადგან ეს ჩვენი შინაური საქმეა და შინაურულად მოვაგვარებთ კიდეც.**

**კონსტანტინე გურგენიძე**

● ასე უკანონოდ ათობით ოჯახის დაჩაგვრას და აბუჩად აგდებას ზედამხედველობის სამსახური ვერ გაბედავდა, რომ არა დედაქალაქის თავკაცის და მისი გუნდის („ჩვენ ერთი გუნდი ვართ!“ძ პირადი ინტერესები

◎ დედაქალაქი

# 13-სართულიანი, ახალი, მყარი სახლი არ უნდა დაინგრეს!



მიშა ჯოლოხიძის ფოტო.

## მკვდრებს თუ გაგვიტანენ საკუთარი ბინებიდან, თორემ აქედან გამომსვლელი არა ვართ! - აცხადებენ მობინადრეები

ზერელე, ყალბმა სატელევიზიო ინფორმაციებმა დაზაფრა ხალხი.

**თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ დავით ავალიანმა მთლად ჟურნალისტების გამტყუნება ვერ გაბედა და პრინციპულად მითხრა: დაქირავებული იურისტები მობინადრეებსაც და ჟურნალისტებსაც გატყუებენ და საზოგადოება შეცდომაში შეგყავთ!**

საქმე ეხება თაბუკაშვილის ქუჩაზე (№50/52ძ წამოჭიმულ 13-სართულიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟს, რომლის არქიტექტურული იერსახე, მშენებლობის ხარისხი და გარემო პირობებთან შეუთავსებლობა არ მოსწონს დედაქალაქის მერს გიგი უგულავას და... თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელებს.

ობიექტი, როგორც ეს თბილისში ხშირად (ძალიან ხშირად!ძ ხდება, ექსპლუატაციაში მიუღებლად ფუნქციონირებს!

მაშასადამე, საცხოვრებელი სახლი სახელმწიფო საჯარო რეესტრში გატარებული არ არის და მოსახლეობა (მინიმუმ 24 ოჯახი ძ კარგა ხანია ცხოვრობს.

— არ გვაცალეს, ბატონო... შეხედეთ, გარედან სახლის ნახევარი შელებილია, ფასადის კეთილმოწყობას ამდენხანს მოვრჩებოდით და რეესტრშიც გავაფორმებდით, — მეუბნება სახლის მშენებელთა ჯგუფის თავკაცი ზურაბ მაღლაკელიძე.

**— როცა პირველად შემოგვიტიეს, ბუნებრივია, მობინადრეებმა სასამართლოში ვიჩივლეთ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, კანონით გათვალისწინებული წარმოების გარეშე, კატეგორიულად აეკრძალა სახლის დემონტაჟი... საქმე პირწმინდად მოვიგეთ, მაგრამ მაინც არ გვასვენებენ,** — წუხს სახლის მობინადრე, ცნობილი ხელოვანი და ახლა ამხანაგობა „ივერიის“ თავმჯდომარე ლელიკო (ანტონძ ჯაფარიძე.

სასამართლოს გადაწყვეტილებიდან სამიოდე თვის შემდეგ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა სპეციალური წერილით მიმართა თაბუკაშვილის ქუჩის „განწირული“ სახლის მობინადრეებს: **„რადგანაც ობიექტი ექსპლუატაციაში მიუღებლად ფუნქციონირებს, დარღვევის გამოსასწორებლად ექსპლუატაციაში მიღებამდე ობიექტმა უნდა შეწყვიტოს ფუნქციონირება“.**

თავი დავანებოთ ამ წინადადების სამართლებრივ „სიმტკიცეს“ და პირდაპირ შინაარსზე გადავიდეთ: **ვიდრე დარღვევები არ გამოსწორდება, ობიექტმა ფუნქციონირება უნდა შეწყვიტოს — გვარწმუნებს ზედამხედველობის სამსახურის „მიწერილობა“.**

კი მაგრამ, თქვე დალოცვილებო, თავის დროზე (1997 წელსძ მენაშენთა ამხანაგობა „ივერიამ“ თაბუკაშვილის ქუჩაზე მიწა ოფიციალურად დაისაკუთრა, მერე სახლი ააშენა, მობინადრეებმა რემონტი გააკეთეს, ზოგიერთებმა ბინის საკუთრების დამადასტურებელი ორდერიც აიღო და... ახლა სახლმა ფუნქციონირება შეწყვიტოს?

**ამოდენა საცხოვრებელი სახლი რიგითი სახინკლეა თუ მეორადი საქონლის მაღაზია?**

— წინააღმდეგ შემთხვევაში ჯერ ჯარიმებს („მცირე“ დარღვევისთვის 5 000 ლარს, დიდი გადაცდომისათვის — 10 000 ლარსძ დაგვაკისრებთო, — იმუქრება ზედამხედველთა „მიწერილობა“.

**გაფრთხილების ვადა გუშინ, 5 ივლისს გავიდა.**

**— ჩვენი აღმსრულებლების ვიზიტს, ამიერიდან, ყოველდღე შეიძლება ელოდონ ამ სახლის ურჩი მობინადრეები, — გვარწმუნებს დავით ავალიანი.**

**— ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მობინადრეთა ადვოკატი დიმიტრი გაბუნია თქვენ კანონის უხეშ დარღვევაში გადანაშაულებთ, ზედამხედველობის სამსახურს არავითარი შესაბამისი დადგენილება არ გამოუცია, რომ სახლი მართლა „უსუსურია“, სეისმურად საშიშია და დემონტაჟს ექვემდებარება...**

— ჩვენ მაგიდაზე გვიდევს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის ბატონ წურწუმიას დასკვნა, რომ სახლის საფუძველი არამყარია და დაბალი ხარისხის ცემენტით არის აშენებული...

**ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, სწორედ ეგრეა საქმე. სახლის მობინადრეები მიმტკიცებენ, რომ ვინმე წურწუმიამ ეს დასკვნა კაბინეტში დაწერა, მათ კი გ. ზავრიევის სახელობის სეისმომედეგობის ინსტიტუტის მეცნიერთა დასკვნა აქვთ ხელთ, რომ ეს ნაგებობა სეისმურად ერთ-ერთი ყველაზე უფრო მდგრადი სახლია თბილისში.**

— მე ზუსტად აგიხსნით, — მეუბნება „ურჩი“ სახლის კომენდანტი **ნოე კუხალაშვილი:** ადრინდელი პროექტით აქ მართლაც უფრო დაბალი, 7-სართულიანი (პლუს მანსარდიძ სახლი უნდა აგებულიყო. როცა საძირკველში ეგრეთ წოდებული ბეტონის „ბალიში“ ჩაასხეს, წესისამებრ, ინჟინერ-კონსტრუქტორთა ჯგუფს შეამოწმებინეს. აღმოჩნდა, რომ აქ გრუნტი შედარებით სუსტია და ხიმინჯები უფრო საიმედო იქნებოდა. რა თქმა უნდა, დავიწყეთ ბურღვა და 12-13 მეტრის სიღრმეში დავედით კლდეზე... მალე აღვმართეთ 38 ხიმინჯი, ადრინდელი რკინა-ბეტონის „ბალიშიც“ ადგილზე დარჩა. ასე რომ, ეს სახლი ახლა, მართლაც, მყარზე მყარია, თუმცაღა, ხიმინჯის საძირკველმა ზედმეტი ხარჯები მოითხოვა და... სწორედ ამან გამოიწვია სართულიანობის გაზრდა. 2001 წელს 12-სართულიანი სახლის კორექტირებული პროექტიც დამტკიცდა... ასე რომ, ჩვენ ყველა დოკუმენტი გვაქვს და ნებისმიერ შემთხვევაში ისევე გავიმარჯვებთ, როგორც ალექსანდრეს ბაღში ჩადგმული ე. წ. „გენერლების სახლის“ მობინადრეებმა ამ ხუთიოდე წლის წინათ გაიმარჯვეს.

ამხანაგობის თავმჯდომარე ლელიკო ჯაფარიძე განსაკუთრებით გვთხოვს ერთი მომენტის ხაზგასმას: **როგორც ცნობილია „იმელის“ შენობა მსოფლიოში აღიარებული კომპანიის „კემპინსკის“ წარმომადგენელმა „ევორდმა“ იყიდა. ახლა თბილისის მერი გიგი უგულავა ამ კომპანიას სთავაზობს ამ ვითომც ავარიული კორპუსის დანგრევას და მის ადგილზე, კომერციული თანამონაწილეობის პრინციპით, ახალი ნაგებობის აშენებას. ჩვენ დავუკავშირდით „კემპინსკის“ ცენტრალურ ოფისს ჟენევაში. იქიდან გვაცნობეს, რომ კომპანიას ეს შენობა და მისი ფართობი საერთოდ არ აინტერესებს და კვადრატულ მეტრზე არავითარი 1000 დოლარის გადამხდელები არ არიან. ისე, ამ ადგილზე ერთი კვადრატული მეტრის საბაზრო ღირებულება უკვე 4 000 დოლარია. თანაც, ამ სახლის ბოლო ორი სართული ერთმა ყაზახმა ბიზნესმენმა შეისყიდა და ის არსად წასვლას არ აპირებს, პირიქით, რამდენადაც ვიცი, ყაზახეთის ელჩმა უკვე მიმართა თბილისის მერიის ხელმძღვანელობას, რომ ამ შენობის გარშემო უსამართლო მითქმა-მოთქმა შეწყდეს...**

ეს კონკრეტული ფაქტები გუშინ კიდევ ერთხელ გახმაურდა ტელეკომპანია „კავკასიის“ ღია ეთერიდან.

როგორც ჩანს, მართალს ბრძანებს ლელი ჯაფარიძე, რადგან **ასე უკანონოდ ათობით ოჯახის დაჩაგვრას და აბუჩად აგდებას ზედამხედველობის სამსახური ვერ გაბედავდა, რომ არა დედაქალაქის თავკაცის და მისი გუნდის („ჩვენ ერთი გუნდი ვართ!“ძ პირადი ინტერესები.**

თუმცა, რატომ პირადი, ყველაფერი ეს ჩვენი „დედაქალაქის კეთილდღეობის“ სახელით კეთდება.

**სპარტაკ ქობულია**

*P. S. გუშინ თაბუკაშვილის ქუჩაზე არავინ მისულა. არ გამართლდა ზოგიერთი ტელეჟურნალისტის ვარაუდი — 5 ივლისს სახლის დემონტაჟს დაიწყებენო!*

*ვერ დაიწყებენ, რადგანაც სახლიც მყარად დგას, მისი მობინადრეებიც და კანონ-სამართალიც!*

*ს. ქ.*

◎ მიწისძვრა ჩვენს სულებში

# რატომ ჩამოდიან ჩინელები საქართველოში?

### „სტუმარი ღვთისაა“

**ქართველები რომ სტუმართმოყვარე ერი ვართ, ეს ერთი ჩვენებური გამონათქვამითაც დასტურდება — „სტუმარი ღვთისაა“.** თუმცა ბოლო დროს ღირებულებათა გადაფასებასთან ერთად სტუმართმოყვარეობის თვისებაც ოდნავ შეგვერყვნა. ეს ობიექტურმა მიზეზებმა გამოიწვიეს: სტუმრად შემოსულები ყველაფერს ჩვენსას ყიდულობენ და მალე მასპინძლებად გვევლინებიან ხოლმე, ლამისაა ქართველები თავად გავხდეთ ჩვენივე ქვეყნის სტუმრები...

სტუმრად მოსულებისა გვეშინია. მაგრამ ქართველები არც ერთ ხალხს არ შეუშფოთებია ისე, როგორც ჩინელების მომრავლებამ.

### რისი ეშინია საზოგადოებას

**ერთადერთი შიში დემოგრაფიული საკითხია. ჩინელების გამრავლებისა ეშინიათ. „ორნი წვებიან, ოთხნი დგებიან“ — უხამსად დაიჩივლა ერთმა. შიში უსაფუძვლო როდია: ქართველები ყოველწლიურად თითო პროცენტით ვმცირდებით, ისინი სწრაფად მრავლდებიან.**

ელვის სისწრაფით მრავლდება ჩინური „ქინფუ“-ები (მაღა-



ზიებიძ. რატომ შემოდის ამდენი ჩინელი, რატომ იხსნება ამდენი ჩინური მაღაზია, ჩვენს მიწა-წყალს ისინი მოედვნენ, ისინი ყიდულობენ სახლებს, მაღაზიებს ადვილად, მაშინ როცა ჩვენთვის ეს ყველაფერი რთულია? — ამ კითხვებში აგრესია იგრძნობა, ყველა ჩემი რესპონდენტის სუბიექტური აზრი თითქმის ერთმანეთის იდენტურია: — მათი საქონელი იაფად იყიდება. შეუძლებელია ამ ფასად იქ დაამზადონ, ბაჟი გადაიხადონ, ხარჯები დაფარონ. აქ სხვა ამბავია. ჩინეთის ხელისუფლება უწყობს ხელს ახალგაზრდებს ქვეყნიდან გასვლაში, რათა გამრავლდნენ. იქ ერთ შვილზე მეტის ყოლა არ შეიძლება, სამაგიეროდ, აქ არავინ უკრძალავს.

### სტატისტიკა

**ჩინეთი მსოფლიო რუკაზე ერთ-ერთი დიდი ქვეყანაა. მოსახლეობის შემადგენლობაში 56 ერი შედის. 23 ეროვნებას თავისი დამწერლობა აქვს.**

ძვ.წ. I საუკუნეში 6 მილიონს აღემატებოდნენ. 1998 წლის აღწერის თანახმად, 1. 248 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს (ჰონკონგის, მაკაოსა და ტაივანის მოსახლეობის გარეშე).

ჩინური რელიგიის არსია — იცხოვრო ცხოვრებისათვის.

იხ. 15 გვ.

№ 130. პარასკევი, 6 ივლისი, 2007 წელი.

# სოციუმი

● **საშუალო კლასისადმი მისაკუთვნებლად შემოსავლების, სიმდიდრისა და კეთილდღეობის საშუალო დონე მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდგება, თუ საბაზრო ეკონომიკა იმდენადაა განვითარებული, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი შინამეურნეობების რაოდენობა 20 პროცენტს არ აჭარბებს, ხოლო თავად ეს საშუალო დონე საარსებო მინიმუმს 3-6-ჯერ აღემატება**



## ◎ კომპეტენტური აზრი

# ისტორიული შანსი და პერსპექტივები საგრძნობლად შემცირდება, თუ...

**საშუალო კლასის სოციალურ-ეკონომიკური როლისა და იმის შესახებ, თუ რატომაა საჭირო მისი კვლევა და რა კრიტერიუმები არსებობს ცალკეული ადამიანის, ოჯახის, შინამეურნეობის მისდამი მისაკუთვნებლად**

**საშუალო კლასის შესწავლა მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ ეს კლასია ერთგვარი შემაკავშირებელი ხიდი საზოგადოების დანარჩენ ორ დიდ (ფაქტობრივად, პოლარულ) ჯგუფს — მდიდრებსა და ღარიბებს — შორის. მის სიდიდეზე, პოზიციაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთელი ქვეყნის განვითარების ვექტორი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ფონი. მიუხედავად ამისა, საქართველოში ბოლო წლებში საზოგადოებისა და მეცნიერების ყურადღება აშკარად მოაკლდა მის შესწავლას. საშუალო კლასში მიმდინარე პროცესების სიღრმისეული ანალიზიდან აქცენტი, გასაგები მიზეზების გამო, გადატანილ იქნა საზოგადოებაში სიღარიბის შესწავლისა და დაძლევის საკითხებზე.**

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სოციალურ სტრატიფიკაციას ოპტიმალურობის აღიარებული პროპორციები აქვს. ასეთი ეკონომიკის პირობებში საშუალო კლასის წილად უნდა მოდიოდეს მოსახლეობის 60-65 პროცენტი, მდიდრების წილად — 20 პროცენტამდე და ღარიბებისა — არა უმეტეს 15-20 პროცენტისა. დღევანდელი საქართველოს მოსახლეობის ამგვარი „სამფენოვანი" სტრატიფიკაცია, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, ხსენებული ოპტიმუმისაგან საკმაოდ შორსაა.

მთელ რიგ მიზეზთა გამო ეკონომიკური ტრანსფორმაციის, რეფორმების, ტოტალური განსახელმწიფოების, პრივატიზაციის პროცესებმა ბოლო 15-20 წლის მანძილზე საშუალო კლასზე მეტად მდიდრებისა და ღარიბების ფორმირებასა და რიცხოვნულ ზრდაზე „იმუშავეს". უფრო მეტიც, აღნიშნულ პერიოდში სწორედ საშუალო კლასის „ძველი წარმომადგენლების" ხარჯზე მიიღეს მდიდრებმა და ღარიბებმა მნიშვნელოვანი „შევსება". რეალური საბაზრო ურთიერთობების პირობებში ბიზნესის წარმოების პრაქტიკული გამოცდილების არქონამ, ეკონომიკის „საბჭოურ" სტრუქტურაზე აღმოცენებულმა ნეკროეკონომიკამ პრივატიზებულ საწარმოთა დიდი ნაწილი ჯართად დაშლისა და ჩალის ფასად გაყიდვისთვის გაწირა.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელებულმა ღონისძიებებმა შეამცირეს მასობრივი კორუფციის მასშტაბები, თუმცა ამას რაიმე არსებითი გავლენა მოსახლეობის საერთო კეთილდღეობაზე, ისევე როგორც რაოდენობრივად საშუალო კლასის ზრდაზე, არ მოუხდენია. ამ ხნის განმავლობაში **ეკონომიკური ზრდა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება თითქმის თანაბარზომადი მასშტაბებისა იყვნენ.** გაიზარდა საშუალო ნომინალური და რეალური ხელფასი, შემოსავლები უფრო გამჭვირვალე და „სუფთა" გახდა, მაგრამ, ამავე დროს, მკვეთრად შემცირდა შემოსავლები ჩრდილოვანი ეკონომიკიდან. ამ პერიოდში სისტემური ტრანსფორმაციისა და რეფორმების გამო დაახლოებით 140 ათასმა კაცმა დაკარგა სამუშაო, გახდა უმუშევარი ან მოუწია საქმიანობის პროფილის შეცვლა. აღნიშნულის გამო, მოსახლეობის შემოსავლებში, ხატოვნად რომ ვთქვათ, „მოვიგეთ ხარისხში, მაგრამ ჯერჯერობით არა რაოდენობაში". ოფიციალური სტატისტიკით, **მოსახლეობის კეთილდღეობის დონე, მსყიდველობითი უნარიანობა, ფულადი ხარჯები 2006 წელს რეალურ განზომილებაში (ინფლაციის გათვალისწინებით) სამი წლის წინანდელის დონეზე დარჩა.**

„საშუალო კლასი" არაა ის მოსახლეობა, რომელიც „საშუალოდ" მოიხმარს და „საშუალო შემოსავალი" აქვს. ზოგადად, ეს **მოხმარებისა და კეთილდღეობის** გარკვეული სტანდარტიცაა. ამიტომ საშუალო კლასისადმი მისაკუთვნებლად შემოსავლების, სიმდიდრისა და კეთილდღეობის საშუალო დონე მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდგება, თუ საბაზრო ეკონომიკა იმდენადაა განვითარებული, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი შინამეურნეობების რაოდენობა 20 პროცენტს არ აჭარბებს, ხოლო თავად ეს საშუალო დონე საარსებო მინიმუმს 3-6-ჯერ აღემატება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **საშუალო სტატისტიკური შემოსავლები და შემოსავლები, რითაც ინდივიდი, შინამეურნეობა შეიძლება მიეკუთვნოს საშუალო კლასს, ერთი და იგივე არ არის.** საქართველოში, მაგალითად, შინამეურნეობათა საშუალო შემოსავალი თვეში დაახლოებით 400 ლარია, შემოსავლების სიდიდე კი, რომელთა მიხედვითაც შინამეურნეობა შეიძლება საშუალო კლასს მიეკუთვნოს, მასზე სამჯერ მეტი.

ჩვენი შეფასებით, თბილისში მაგალითად, საშუალო კლასისადმი მისაკუთვნებლად **საშუალო (თითქმის ოთხსულიან) ოჯახს უნდა ჰქონდეს ბინა/სახლი — დაახლოებით 90-100 კვადრატული მეტრი, 4.5-9.0 ათასი დოლარის ეკვივალენტი წლიური მიმდინარე შემოსავალი და არანაკლებ 45-50 ათასი დოლარის დაგროვილი ქონება (ბინის გარდა).**

**საშუალო კლასისადმი მისაკუთვნებლად დამატებით (ან დაგროვილი ქონებასთან ჩანაცვლებით) შეიძლება მივიჩნიოთ 10-15 ათასი დოლარის ეკვივალენტი დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები ან საბანკო კრედიტი.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, საშუალო კლასისადმი იდენტიფიცირება გულისხმობს **პიროვნების (ოჯახის) გარკვეული ფინანსურ-ეკონომიკურ სიმყარეს, რომელიც არ შეიცვლება მისი დასაქმების სტატუსისა თუ სხვა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გამო, საკმარისად ხანგრძლივი დროის განმავლობაში** (არანაკლებ 9-12 თვე).

ყოველივე ამის გამო, დაგროვილი ქონების, შემოსავლებისა და ხარჯების ფაქტობრივი დონის გათვალისწინებით, დღევანდელ საქართველოში საშუალო კლასის წარმომადგენლების რაოდენობა ოპტიმალურ დონესთან შედარებით დაახლოებით 8-ჯერ დაბალია. — **საქართველოში თავისი ფაქტობრივი მოხმარებით, კეთილდღეობით საშუალო კლასს ამჟამად შეიძლება მიეკუთვნოს მოსახლეობის არა უმეტეს 8-9 პროცენტისა, ანუ დაახლოებით 320-350 ათასი კაცი,** რომელთაგან თითქმის ნახევარმა ეს სტატუსი „ბაზრამდელი" (საბჭოთა) პერიოდიდან შეინარჩუნა, დანარჩენნი („ახალი საშუალოები") კი ამ კატეგორიაში ბოლო 15 წლის განმავლობაში განვითარებული პროცესების შედეგად „ჩაეწერნენ". შესაბამისად, დღეისათვის **საქართველოს შინამეურნეობათა 86 პროცენტი ღარიბია, ხოლო 5 პროცენტი — შეძლებულები და მდიდრები.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღარიბ-ღატაკთა (საშუალო კლასს ქვემოთ მყოფთა) რაოდენობა 17-ჯერ აღემატება შეძლებულთა და მდიდართა (საშუალოზე ზემოთ მყოფთა) რაოდენობას. ამავე დროს, უმდიდრესი 5%-ის შემოსავლები 63-ჯერ აღემატება უღარიბესი 5%-ის შემოსავლებს.

**საქართველოში ბოლო 15-20 წლის მანძილზე „ბაზრამდელი" საშუალო კლასის შემადგენლობიდან ამოვარდა დაახლოებით 1.5 მილიონი ადამიანი,** რომელთაგან 1/3-მდე გავიდა ქვეყნიდან. აქ დარჩენილთაგან კი: თავისი ძველი, „საშუალო სტატუსი" შეინარჩუნა მხოლოდ ყოველმა მეათემ, გამდიდრდა — 5-6 პროცენტამდე, დანარჩენებმა — ღარიბთა რიგები შეავსეს... სხვაგვარად რომ ვთქვათ, **აღნიშნულ პერიოდში საშუალო კლასის აბსოლუტური და შეფარდებითი შემცირება, თავისი დატვირთვით და შედეგიანობით, ფაქტობრივად, იმავე მასშტაბისა იყო, როგორიც მეოცე საუკუნის 20-30-იან წლების მიჯნაზე კულაკობის სოციალური გაქრობისათვის წარმოებული კამპანია.**

**ამჟამად, ფაქტობრივად, ხელახლა ხდება საშუალო კლასის ფორმირება.** 1990-იანი წლების დასაწყისის ეკონომიკური კოლაფსის შემდეგ საქართველოში შეინიშნება საშუალო კლასის წილის ზრდის (თუმცა ზომიერად ნელი) ტენდენცია — ჩვენი შეფასებით, ბოლო წლებში საშუალოდ 0.4-0.5 პროცენტული პუნქტით, რაც, მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში ანალოგიური მაჩვენებლის ტემპზე თითქმის ოთხჯერ დაბალია.

**რატომ აქვს ასეთი დაბალი წილი საშუალო კლასს საქართველოში?**

ამის ძირითადი მიზეზი ეკონომიკის საერთო განუვითარებლობა, მასში საშუალო და მცირე ბიზნესის დაბალი წილია. — საქართველოში საშუალო ბიზნესის წილად მოდის მთელი გამოშვების მხოლოდ 15 პროცენტი, მაშინ როდესაც EU-27-ში — დაახლოებით 2/5. ევროკავშირში ერთი ამდენივე უკავია მსხვილ ბიზნესს (საქართველოში — 3/4), ხოლო საშუალო ბიზნესის წილად დაახლოებით 1/5 (საქართველოში — 1/10). გამოდის, რომ **მსხვილი ბიზნესის წილი საქართველოში ევროკავშირისას თითქმის 2-ჯერ აღემატება, სამაგიეროდ, საშუალო ბიზნესის წილი 2-ჯერ, ხოლო მცირე ბიზნესის წილი საქართველოში თითქმის სამჯერ დაბალია შესაბამის ევროპულ მაჩვენებლებთან შედარებით.** ამასთან, ბოლო წლებში არათუ არ გაზრდილა ასეთი ბიზნესის წილი, არამედ რამდენადმე შემცირდა კიდეც, რაზეც დანართში მოტანილი ცხრილიც ადასტურებს. არადა, **მცირე და საშუალო ბიზნესი — ეს არის ახალი სამუშაო ადგილები, მასობრივი დასაქმება, სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობა, კეთილდღეობის განსაზღვრული დონე...** ასეთი ბიზნესის განვითარების გარეშე რეალურ პროგრესსა და კეთილდღეობის არსებით ზრდაზე ლაპარაკი წარმოუდგენელია. **საქართველოში ასევე მცირერიცხოვანია იმ მეწარმეთა რაოდენობა, რომლებიც დაქირავებული პირების შრომას იყენებენ.** დღეისათვის, ოფიციალური სტატისტიკით, მათი რაოდენობა 20 ათას კაცს, ანუ თვითდასაქმებულთა 1.8 პროცენტს არ აღემატება. თვით აშშ-ში, მსხვილი კაპიტალის ამ „სახელმწიფო-ნაკრძალშიც" კი სახელმწიფო შეკვეთების დიდი ნაწილი, მართალია, როგორც წესი, მსხვილ კომპანიებს მიეცემა, მაგრამ შემდეგ ესენი შეკვეთის ღირებულების 70%-ს ქვეკონტრაქტების სახით გადასცემენ სხვა, უფრო წვრილ და მობილურ კომპანიებს. ეს ზრდის ეკონომიკის, ნებისმიერი კალიბრის ბიზნესის ცხოველმყოფელობას და კონკურენტულ გარემოში საკუთარი ნიშის შენარჩუნების შესაძლებლობას. ამიტომ, სახელმწიფომ საშუალო კლასის რაოდენობის ზრდას ორი მიმართულებით უნდა შეუწყოს ხელი: ჯერ ერთი, **მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით, საგადასახადო რეჟიმის შემდგომი ლიბერალიზაციით, და მეორეც, სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების ამაღლებით.** ეს ორი მიმართულება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული, რამეთუ საზოგადოების მდგრადობა მთლიანობაში მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ გარემოებათა თანხვედრით მიიღწევა.

საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის პროცესში საშუალო კლასის ჩამოყალიბების, მისი როლის, სოციალური და ეკონომიკური წონის განსაზღვრის, შესწავლის პროცესს არა აქვს მხოლოდ წმინდა შემეცნებითი დატვირთვა. რაც უფრო მრავალრიცხოვანია საშუალო კლასი და მაღალია მისი წილი მოსახლეობაში, მით უფრო ძლიერია მისი გავლენა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასა და განვითარების ვექტორზე. ამით ამ კლასს გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული მისიაც აკისრია: **არ დაუშვას ხელისუფლებაში მარგინალური შეხედულებების პოლიტიკური ძალები, უზრუნველყოს საზოგადოებრივი სტაბილურობა..** ეს პრინციპი ირღვევა იქ, სადაც დაკნინებული და ფაქტობრივად იგნორირებულია საშუალო კლასის ისტორიული როლი. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაგალითი ადასტურებს, რომ **რევოლუციები, როგორც წესი (მო)ხდება იმ ქვეყნებში, სადაც დაკნინებულია საშუალო კლასის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქცია, სადაც მისგან წამოსული საზოგადოების განვითარების ვექტორი, ან შესაბამისი სიგნალი სუსტია, „არ ესმით" სხვა ძალებს და შედარებით ადვილია მისი „ჩახშობა", იგნორირება, მანიპულირება...**

იმ კატაკლიზმებისა და რევოლუციური ცვლილებების გათვალისწინებით, რაც მოხდა საქართველოში 1990-იანი წლების შემდეგ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ **საშუალო კლასი საქართველოში ჯერაც ჩამოყალიბებისა და კუთვნილი ობიექტური ისტორიული ადგილის ძებნის პროცესშია, თუმცა შესაბამისი ტრადიციების დეფიციტის გამო საზოგადოებას სერიოზული პრობლემები ექმნება დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებისა და ამ უკანასკნელთა დაცვის თვალსაზრისით. ამიტომ საშუალო კლასის ჩამოყალიბებას, საზოგადოებაში მისი წილის „ევროსტანდარტებამდე" აყვანას უკავშირდება საბაზრო ეკონომიკაზე ჩვენი ქვეყნის გადასვლის ისტორიული შანსი და პერსპექტივები...**

**იოსებ არჩვაძე**

ცხრილი 1

საქართველოს შინამეურნეობების განაწილება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით 2006 წელს

| | პროცენტული წილი მოსახლეობაში |
|---|---|
| მთელი მოსახლეობა | 100 |
| მათ შორის: | |
| ღარიბები | 86 |
| აქედან: | |
| ღატაკები | 15 |
| "უბრალოდ ღარიბები" | 21 |
| პოტენციურად ღარიბები | 50 |
| საშუალო კლასი | 9 |
| მდიდრები | 5 |
| აქედან: | |
| შეძლებულები | 3.5 |
| მდიდრები | 1.5 |

ცხრილი 2

საშუალო კლასის პროცენტული თანაფარდობა საქართველოსა და ევროკავშირში

(პროცენტებით)

| | საქართველო | | EU-25, 2005 |
|---|---|---|---|
| | 2002 | 2006 | |
| საშუალო კლასის წილი მთელ საზოგადოებაში | ... | 9 | 55-70 |
| მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოო აქტივობის განმსაზღვრელი მაჩვენებლები (მთლიან ჯამში): | | | |
| - საწარმოთა რაოდენობა | ... | 97.2 | 99.8 |
| - დასაქმებულთა რაოდენობა | 49.0 | 48.9 | 67.1 |
| - ბრუნვა | 24.4 | 26.9 | 58.1 |
| - დამატებული ღირებულება | 20.3 | 19.8 | 57.3 |

მიწისძვრა ჩვენს სულებში

# რატომ ჩამოდიან ჩინელები საქართველოში?

(მესამე გვერდიდან)

## რა ციფრებს იცნობს ოფიციოზი?

**იუსტიციის სამინისტროში ზუსტად რამდენი ჩინელია საქართველოში, არ იციან. 2006 წლიდან დღემდე 458 მოქალაქეს აქვს აღებული დროებითი ბინადრობის მოწმობა. მოწმობის გაცემის საფუძველი, უმეტეს შემთხვევაში, შრომითი საქმიანობაა. სულ ორ პირს აქვს მიღებული მუდმივი ბინადრობის უფლება. ერთი – 2005 წ, მეორე – 2006 წ. ორივე შემთხვევა უკავშირდებოდა ქორწინებას. ქორწინების სხვა ოფიციალური ფაქტი არ აღნუსხულა.**

**ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით** ინტენსიურად იზრდება სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელი 2000 წლიდან. 2001 წელს – 25 პროცენტით, 2002 წელს – 90 პროცენტით, 2003 წელს – 160 პროცენ-



ტით... 2006 წელს – 117 პროცენტით. მიუხედავად ამისა, ჩინეთს საქართველოს პარტნიორ ქვეყნად არ თვლიან, რადგან საერთო ჯამში, სავაჭრო ბრუნვის მხოლოდ 2 პროცენტი უკავია. ჩინეთს ბევრად უსწრებს თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, არაბეთი, გერმანია.

ჩინეთიდან ძირითადად იმპორტირებულია დიდი რაოდენობით პლასტმასის სანიტარიულ-ტექნიკური ნაკეთობები. შემდეგ მოდის ტყავის საქონელი და ტრიკოტაჟი. მინიმალური რაოდენობით არის შემოტანილი საკვები და მედიკამენტები.

საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ჩინეთთან შეღავათიანი სატარიფო სისტემა აქვს.

**მაკროეკონომიკის დეპარტამენტში** – არ იციან, თუ რამდენი სავაჭრო ობიექტი აქვთ გახსნილი ჩინელებს, რამდენი რეზიდენტი პირია, რამდენი ჩინელი ეწევა შრომით საქმიანობას. „ჩვენ ამ ინფორმაციების მოპოვების შესახებ დავალება არ მიგვიღია. ამ საკითხით თქვენამდე არავინ დაინტერესებულა და, შესაბამისად, სტატისტიკა არ გვაქვს“ – მათი პასუხი ასეთია.

## ჩინელ-ქართველი მარგო-გვან ვენ ლიუ-ყანდარელი

**72 წლის ქალბატონი მარგო საქართველო-ჩინეთის კულტურული ცენტრის პრეზიდენტია. იგი დედით ქართველია, ქართველ მხატვარზე გათხოვდა და 50 წელია, რაც საქართველოში ცხოვრობს.**

– ძალიან ბევრი ცუდი რამე იწერება, – ამბობს ის, – ელჩის მეუღლემაც კი მთხოვა, რომ გამოვეხმაურო ასეთ ფაქტებს. ასეთი მიდგომა მხოლოდ ცუდ შედეგს გამოიღებს.

ჩინეთი 20 წელი ჩაკეტილი იყო. ჩვენც ხომ ასე ვიყავით თითქმის. ახლა, როცა საზღვრები გაიხსნა, ჩინელები ყველგან მიდი-მოდიან. დედამიწაზე ხომ ყოველთვის იყო ადამიანთა მიმოსვლა. ჩინელებს, ქრისტიანული მსოფლმხედველობისგან განსხვავებით, მუდმივობისა არ სჯერათ. ისინი სიახლეებს ეძებენ.

ჩინეთი ახლახან შევიდა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში და ამიტომაც გააქტიურდნენ ასე ძალიან. არა მარტო საქართველოში, ყველგან.

რის უნდა გვეშინოდეს ჩვენ? – საშიში მაშინაა, როცა კულტურა არა გაქვს მყარი, კულტურის დაკარგვის შიშია მთავარი, თორემ რამდენი ჩინელი დაქორწინდება ქართველზე? – ათასობით ხომ არა? წერენ, ამისთვის, რომ ფულს უხდიანო, იქნებ სიყვარულით გათხოვდა, მაშინ? ჩინეთის მთავრობა არავის აძლევს ქალის საყიდელ ფულს, ეს სისულელეა...

## რამ გააოცა ჩინელები ჩვენთან?

**ქალბატონი მარგო ამბობს, რომ ელჩიდან დაწყებული ყველა ჩინელს უკვირს, რატომ დგება ქართველი დილის 10-12 საათზე, რატომ იღება ასე გვიან მაღაზიები. ჩინელებს აოცებთ ის, რომ ცოტაა ხალხი, მიწა კი ბევრია, ამ მიწას კი იაფად ყიდიან უცხოელებზე.**

უკვირთ ჩინელებს, რატომ არ ზრდიან ქართველები 3-4 შვილს, როცა კანონი ამას არ კრძალავს.

ძალიან უკვირთ, ასე რატომ ცდილობენ სიღნაღი გახდეს ევროპული, მაშინ როცა სწორედ ის მოსწონს უცხოელს მასში, რომ სიღნაღი – ქართულია...

## მარგო ლიუს რჩევები

**ქართული კანონით სხვა ქვეყნის მოქალაქეს უფლება არა აქვს მუდმივად იყოს საქართველოში. შეიძლება ჩინელებთან დაიდოს ხელშეკრულება. ვადის გასვლის შემდეგ, ის უნდა წავიდეს. თუ არ წავა, გააძევებენ.**

გამოსავალი ერის გამრავლებაშია. ქართველები უნდა გავმრავლდეთ. უნდა ვიყოთ ჩინელებივით აქტიური და შრომისმოყვარე. უნდა ვისწავლოთ საკუთარი მიწის ფასი.



* * *

**ჩინეთი უძველესი კულტურის ქვეყანაა, – ამბობს ქალბატონი მარგო, – ჩინელები საომრად და საკონფლიქტოდ არსად არ შედიან. მათ კარგად იციან, რომ თუ მიწა გინდა, იქ უნდა იყოს შენი დიასპორა, შენი ჯარი, შენი ხალხი.**

ჩინელები ბევრნი არიან და ამიტომ არ შეიძლება ერთზე მეტი შვილის ყოლა (თუმცა, ამერიკა ამბობს, რომ ეს კანონი ადამიანის უფლებების უხეში დარღვევააძ.

ჩინელები საქართველოში იმიტომ მოდიან, რომ აქაური ხალხი მისაღებია მათთვის, აქაური კულტურა მოსწონთ. და არა იმიტომ, რომ ქართული კულტურა გახდეს მათი კულტურისნაირი, ან ხალხი გახდეს ჩინელების მსგავსი. ეს ხომ შეუძლებელია?!...

**თეა მოსია**

№ 130. პარასკევი, 6 ივლისი, 2007 წელი.

**ქართულ სოფლებში წყლის მიწოდება განახლდა 3 ივლისს საღამოსთვის. ამ დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებმა ყოველივე ეს აღიქვეს თავიანთ გამარჯვებად, რადგან ამ ბოლო ორი დღის განმავლობაში ისინი ახორციელებდნენ საპროტესტო აქციას სარწყავი წყლის მიწოდების განახლების მოთხოვნით**



**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# წყალი, როგორც „კეთილი ნების ჟესტი“

**არ იცვლება სიტუაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. იქ სროლის ხმა თუ არ ისმის, მხარეები ერთმანეთის მისამართით მაინც გამოთქვამენ ბრალდებებს. თუმცა, ახლა ყოველივე ამას დაემატა საზღვრისპირა სოფლებში სარწყავ სისტემებთან დაკავშირებული პრობლემაც. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ეუთო იძულებული გახდა შეექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ხელი უნდა მოჰკიდოს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ეკონომიკურ რეაბილიტაციას.**

სამშაბათს ღამით ცხინვალის მიმართულებით კვლავ ისროდნენ. თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ინფორმაციისა და პრესის კომიტეტში განმარტეს, რომ ამჯერად ავტომატური იარაღით ცეცხლი დაუშინეს ცხინვალის სამხრეთ გარეუბანს. სროლა ქართული სოფლის ნიქოზის მხრიდან ოც წუთზე მეტ ხანს გრძელდებოდა. მსხვერპლი და დაშავებულები არ არიან. როგორც ცხინვალში ამტკიცებენ, სამხრეთ ოსეთის მილიციას საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნია.



ამჯერად კონფლიქტების გადაჭრის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში ამ ფაქტთან დაკავშირებით არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ.

შეგახსენებთ, რომ მანამდე ასეთი „დუელი“ კონფლიქტის ზონაში მოხდა გასული კვირის დამლევს. მაშინ მხარეებმა ერთმანეთის მიმართულებით გახსნეს სნაიპერული შაშხანების, ნაღმსატყორცნებისა და ყუმბარსატყორცნების ცეცხლი. ორივე მხრიდან დაიჭრა ექვსი კაცი, ერთი კი დაიღუპა – ცხინვალის მილიციის თანამშრომელი.

ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა სოფლების დამაკავშირებელი გზების უსანქციო მშენებლობამ, რომელსაც ახორციელებს როგორც ოსური, ისე ქართული მხარე, აგრეთვე წყლის ბლოკადამ, რომელიც ერთმანეთს მოუწყვეს ოსებმა და ქართველებმა. თუმცა, უკვე 4 ივლისს ეს პრობლემა, თითქმის გადაიჭრა – სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ გამოეჩინა „კეთილი ნება“ და გაეხსნა არხები, რომლებიც რეგიონს ამარაგებენ სარწყავი წყლით.

ქართულ სოფლებში წყლის მიწოდება განახლდა 3 ივლისს საღამოსთვის. ამ დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებმა ყოველივე ეს აღიქვეს თავიანთ გამარჯვებად, რადგან ამ ბოლო ორი დღის განმავლობაში ისინი ახორციელებდნენ საპროტესტო აქციას სარწყავი წყლის მიწოდების განახლების მოთხოვნით.

გარდა ამისა, 2 ივლისს საქართველოში ეუთოს მისიის ცხინვალის ოფისში გაიმართა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციისათვის გამიზნული ეუთოს დონორთა პროგრამის საორგანიზაციო კომიტეტის სამუშაო შეხვედრა. როგორც ჩვენს კორესპონდენტს აცნობეს კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში, დამტკიცდა ავნევ-ნული-კიმასის და ქსუისი-გუგუთიანთკარი-დისევის წყალსადენების, ცხინვალის რეზერვუარებისა და კეხვის სათაო ნაგებობის რეაბილიტაციის ოთხი პროექტი.

შეხვედრაზე ასევე დაამტკიცეს სოფლების ორთევის, ტბეთისა და ხელჩუას საშუალო სკოლების და სოფელ სვერში სკოლისა და კლინიკის შენობების რეაბილიტაციის პროექტები. შეგახსენებთ, რომ ქართულმა მხარემ ცხინვალის დე ფაქტო ხელმძღვანელობას შესთავაზა ერთობლივი მონიტორინგის განხორციელება წყალსადენის ჯავა-ანდისი-ცხინვალის მონაკვეთზე, მაგრამ ოსური მხარე ჯერჯერობით კატეგორიულ უარს აცხადებს ასეთ წინადადებაზე.

**ირინე ბარამიძე**

**НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ**

# რუსეთი მზად არის ხელი შეუწყოს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების განახლებას

**საჭიროების შემთხვევაში, რუსეთს შეუძლია შეუწყოს ხელი დიალოგს თბილისსა და სოხუმს შორის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაჭრის მიზნით, იტყობინება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო.**

მოსკოვმა გამოთქვა მზადყოფნა შეუწყოს ხელი იმას, რომ „კონფლიქტის მონაწილე მხარეთა პოზიციებში დასახულ პოზიტიურ ძვრებს მიეცეს შემდგომი განვითარება, რაც მოემსახურება რეგიონული სტაბილურობის განმტკიცების ინტერესებს“.

როგორც უწყების საიტზე განთავსებულ ინფორმაციაშია ხაზგასმული, სამშაბათს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგოლ კარასინმა თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი შამბასთან შეხვედრის დროს განიხილა ბონში 27-28 ივნისს გამართული გაეროს გენერალური მდივნის „მეგობართა ჯგუფის“ რიგგარეშე შეხვედრის შედეგები.

სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის მხარე აღნიშნავს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბონის შეხვედრაზე თბილისსა და სოხუმს შორის მიღწეულ თანხმობას პროცესის დარეგულირების ფარგლებში მოლაპარაკების ზოგიერთი მექანიზმის განახლების შესახებ. უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება ოთხმხრივ შეხვედრებს უშიშროების საკითხების თაობაზე, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მანდატისა და კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები.

კარასინი და შამბა კმაყოფილები არიან „ჯგუფის“ მონაწილეთა (რუსეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და გაეროძ ერთიანი პოზიციით, რომლებმაც მოითხოვეს კონფლიქტის ზონაში უშიშროების განმტკიცება.

გაეროს გენერალური მდივნის „მეგობართა ჯგუფი“ ასევე დაჟინებით მოითხოვს, რომ განუხრელად შესრულდეს მოსკოვის 1994 წლის შეთანხმება და გაეროს უშიშროების საბჭოს №1716 და №1752 რეზოლუციების დებულებები, ხაზგასმულია დოკუმენტში.

**Агентство международной информации НОВОСТИ**

**ინფორმაცია**

## ქართულ-ოსური ცენტრი ქუთაისში

**ქუთაისში გუშინ ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ცენტრი დაფუძნდა.**

**ცენტრის გამგეობაში, ქართველებთან ერთად, ქუთაისში მცხოვრები ოთხი ოსი ეროვნების მოქალაქეც შედის და იგი დროებითი ადმინისტრაციის ინიციატივებს დაუჭერს მხარს.**

**ამასთან, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ცენტრი ქუთაისში მცხოვრებ 400-მდე ოსი ეროვნების პირს გააერთიანებს.**

**გამგეობის წევრები ქუთაისელ კულტურის მოღვაწეებთან ერთად კონფლიქტის ზონაში ჩასვლას გეგმავენ.**

## თბილისს რუსთავმა აჯობა

**რუსთავი-თბილისის მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსებით მგზავრობა არ გაძვირდება. ამის თაობაზე შეთანხმებას რუსთავის მერიისა და მგზავრთა გადამყვანი ფირმების წარმომადგენლებმა მიაღწიეს.**

**როგორც რუსთავის მერის პირველმა მოადგილემ ბესიკ ბაქრაძემ განაცხადა, ქალაქში სოციალური ფონი მძიმეა და ტრანსპორტის გაძვირება ამ ეტაპზე დაუშვებელი იყო.**

**თუმცა, რუსთავი-თბილისის მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსების მძღოლები აცხადებენ, რომ საწვავის კიდევ გაძვირების შემთხვევაში მგზავრობის ფასი აუცილებლად მოიმატებს.**

**აღსანიშნავია, რომ რუსთავში, თბილისისგან განსხვავებით, შიდა ტრანსპორტით მგზავრობა არ გაძვირებულა. ავტობუსით მგზავრობა 20 თეთრი, მიკროავტობუსით – 40, ტროლეიბუსით კი – 10 თეთრი ღირს.**

## „თელასი“ კვლავ დევნილებს „დაერია“

**„თელასმა“ ელექტროენერგიის ხაზები კრწანისის რაიონში, ყმაწვილ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სახლში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებსაც ჩაუჭრა.**

**როგორც კომპანიის შემოსავლების სამსახურის უფროსმა მალხაზ იოსელიანმა განაცხადა, აღნიშნულ ობიექტს ელექტროენერგიის მიწოდება დავალიანების გამო თითქმის ოთხი თვეა შეწყვეტილი აქვს, თუმცა ისინი დენს არალეგალურად გადაყვანილი ხაზებით, მრიცხველის გვერდის ავლით მოიხმარდნენ.**

**აღნიშნულ შენობაში 35 დევნილი ცხოვრობს. მათი „თელასისადმი“ დავალიანება მიმდინარე წლის 3 თვეში 8 ათას ლარს შეადგენს.**

**„თელასმა“ ელექტროენერგიის ხაზები გუშინ კრწანისის რაიონში ყოფილი სატელეფონო ქსელების ლიცეუმში ჩასახლებულ დევნილებსაც ჩაუჭრა.**

## სუბარი ჟურნალისტთა გვერდით დგას

**სახალხო დამცველი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს „საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ უარყოფითად აფასებს.**

**როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან იტყობინებიან, სოზარ სუბარი ეწინააღმდეგება სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის დროს ფოტო, კინო, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩანაწერის აკრძალვას.**

**„სასამართლო სხდომების გადაღების აკრძალვა, სასამართლო სხდომის ოქმში არასწორი მონაცემის შეტანის ფაქტის მტკიცებას შეუძლებელს ხდის. თუკი მხარე ამტკიცებს, რომ მოწმის მიერ მიცემული ჩვენების შინაარსი არასწორად არის ასახული სასამართლო სხდომის ოქმში, აღნიშნული ჩვენების ვიდეოჩანაწერი წარმოადგენს საუკეთესო მტკიცებულებას ჭეშმარიტების დასადგენად“,– აღნიშნეს სახალხო დამცველის აპარატში.**

**მისივე განმარტებით, სასამართლო სხდომის ფოტო და ვიდეოჩანაწერის არსებობის შემთხვევაში, განსაკუთრებით ხდება დაცული მხარის უფლება სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლოზე, რაც იმავდროულად, წარმოადგენს საჯარო ინტერესის საგანს.**

**მისივე თქმით, საზოგადოებას უფლება აქვს მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, თუკი აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით არსებობს საჯარო ინტერესი.**

**ინტერპრესნიუსი**

# სპორტი

● კიდევ შვიდი წელიწადიც და ყურისძირში უდიდესი ფორუმი მოეწყობა. ვიმედოვნებთ, მასზე დასწრების საშუალება აფხაზეთის გავლით მოგვეცემა



◎ ოლიმპიადა – 2014

## ჩავიდა, ნახა, გაიმარჯვა







**ვლადიმერ პუტინმა საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ბრძოლა მოაგებინა რუსეთს – 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადას სერგო ორჯონიკიძის მიერ მეზობელთათვის გასული საუკუნის გარიჟრაჟზე ნაფეშქაშები სოჭი უმასპინძლებს.**

გვატემალაში გამართული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 119-ე სესიამდე გამოკვეთილი ფავორიტის დასახელებას ბევრი გაურბოდა. სოკ-ის თავკაცმა ჟაკ როგმა პირდაპირ განაცხადა, სამი მშვენიერი კანდიდატის ბრძოლის ბედს ადამიანური ფაქტორი გადაწყვეტსო. ასეც მოხდა – განთქმულმა კურორტმა მეორე ტურში ოთხი ხმით აჯობა კორეულ ფხენჩხანს, ეს კი, მნიშვნელოვანწილად, პუტინის დამსახურება გახლავთ, რომელიც პირადად ჩაუძღვა თანამემამულეთა მრავალრიცხოვან დელეგაციას ჩრდილოეთ ამერიკაში და დელეგატთა უმრავლესობა სოჭის ღირსებებში დაარწმუნა.





რაც შეეხება ავსტრიულ ზალცბურგს, მის იმიჯზე უარყოფითად იმოქმედა ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე აგორებულმა დოპინგ-სკანდალმა. სხვათა შორის, მეორე ტურში მისი მხარდამჭერი ელექტორატის ხმები, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსების ყულაბაში ჩაჩხრიალდა.

მოკლედ, **კიდევ შვიდი წელიწადიც და ყურისძირში უდიდესი ფორუმი მოეწყობა. ვიმედოვნებთ, მასზე დასწრების საშუალება აფხაზეთის გავლით მოგვეცემა.**

◎ ორბიტაზე

### ლუისის „მემკვიდრე“

**ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, თუ ერთ-ერთმა ინგლისელმა როგორ მოიგო ჯერ კიდევ 9 წლის წინათ „მაკლარენის“ ახლანდელ პილოტზე, მაშინ 13 წლის ლუის ჰემილტონზე დადებული ფსონით 40 ათასი გირვანქა სტერლინგი.**

ახლა კი უკვე სახელმოხვეჭილი მრბოლის პატარა მიმდევარი გვინდა, გაგაცნოთ. ოთხი წლის ბრიტანელი ბენ კასპერჩაკი ჯერ ველოსიპედით ვერც კი დადის, მაგრამ კარტინგით რეკორდს რეკორდზე ამყარებს. მას უკვე მეორე ლუის ჰემილტონს ეძახიან. ის ხომ იმავე ტრასაზე ვარჯიშობს, რომელზეც 9 წლის წინათ 13 წლის ლუისი ჩემპიონი გახდა.

როგორც ბენის 42 წლის მამამ, მებაღე პოლმა განაცხადა, მისი შვილი ველოსიპედზე წონასწორობას ჯერ ვერ იცავს, კარტინგში კი თავს დიდებულად გრძნობს, თითქოს ამ უნარით დაიბადაო.

კლუბის მენეჯერის ბრედ მალროის თქმით კი, ბენი თავისი ასაკისათვის დაუჯერებლად დაჰქრის – ის უშიშარი ბავშვია. მშვენივრად მართავს მანქანას საათში 30 მილის სიჩქარის დროსაც კი.

ეს ყველა მოზრდილს კი არ შეუძლია. როგორც ჩანს, ისტორია მეორდება.

### შუმახერების 26 ცხენის ძალა



**მიხაელ შუმახერისთვის, უძლავრეს „ბედაურ“ ბოლიდებს რომაა მიჩვეული, 26 ცხენის ძალა ძალზე ცოტაა, თუმცა ავტორბოლაში მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი ძალზე კმაყოფილია იმ ცხენებითაც, ახლა მის საჯინიბოში რომ არიან.** მან ეს ჯიშიანი ბედაურები რამდენიმე წლის წინათ აჩუქა ცოლს – კარინეს, ბავშვობიდან რომაა გატაცებული საცხენოსნო სპორტით.

26-ცხენიანი რემას ფასი 3,5 მილიონი ევროა. საჯინიბო კი შვეიცარიაში, შუმახერების სახლის მახლობლადაა. მისი „დირექტორი“, რასაკვირველია, კარინეა. სახელოვანი პილოტი კი – მხოლოდ „მექანიკოსი“, რომელიც ასუფთავებს და აჭმევს ცხენებს, თანაც არც „სასუქის“ გატანაზე ამბობს უარს.

### „ლივერპულის“ უძვირფასესი მოთამაშე



**კლუბის ისტორიაში ასეთი იქნება ფერნანდო ტორესი, მადრიდის „ატლეტიკოსა“ და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი, რომელშიც „ლივერპულმა“ 26,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი (53 მილიონი დოლარი) გადაიხადა.**

ტორესამდე „ლივერპულმა“ ფრანგული „ოსერიდან“ 14 მილიონ გირვანქად ჯიბრილ სისე იყიდა.

ინგლისურ პრემიერ-ლიგაში სარეკორდო ტრანსფერად რჩება „ჩელსის“ მიერ 30 მილიონ გირვანქად ანდრეი შევჩენკოს შეძენა.

◎ ტრაპიზონი – 2007

### „კლასიკოსებმა“ ნავსი გატეხეს




**„გვალვიანი“ სტარტის შემდეგ შავი ზღვის პირველ თამაშებზე ქართული დღე გათენდა – ჩვენი ქვეყნის სპორტული დელეგაციის ყულაბა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მიერ მოპოვებული ერთბაშად 4 მედლით დამძიმდა.**

აღსანიშნავია, რომ სამი წონით კატეგორიაში ქართულ-აზერბაიჯანული ფინალები გათამაშდა და აქედან ორში ჩვენმა თანამემამულემ გაიმარჯვა – კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გიორგი დავითაია (46 კგ.) და პაატა ბაკურიძე (63 კგ.) ავიდნენ.



„ვერცხლით“ დაასრულა ასპარეზობა როინ ძირკვაძემ (42 კგ.), გიორგი ღვინიაშვილი (76 კგ.) კი მესამე პრიზიორი გახდა.

მცირედი დააკლდა ჯილდომდე ბათუმელ ზურაბ მთვრალაშვილს, რომელმაც თავისუფალი სტილით მოცურავეთა 200-მეტრიან დისტანციაზე მეოთხე ადგილი დაიკავა.

ასეთივე შედეგი აქვთ ქართველ ველოსიპედისტებს გუნდურ ჩათვლაში. მათ მეორე ეტაპი მეორე მაჩვენებლით დაამთავრეს. რაც შეეხება პირად ბრძოლას, კონსტანტინე ალავერდაშვილი ფინიშთან მეოთხე მიიჭრა, დავით ასკურავა – მეშვიდე, ხოლო რამაზ ბაბუხადიამ მერვე პოზიციაზე დაასრულა რბოლა.

**აქვე გაუწყებთ, რომ შავი ზღვის მეორე თამაშებს 2010 წელს რუმინეთი უმასპინძლებს.**

◎ კოპა ამერიკა

## როგორ დაწყვილდებიან მეოთხედფინალისტები?

**გასრულდა ამერიკის თასის გათამაშების კიდევ ერთი დღე. B ჯგუფის ნაკრებებმაც წინასწარი შეხვედრები მოილიეს.**

მექსიკა და ჩილე „მშვიდობიანად მორიგდნენ“ – 0:0 და თითო ქულის წამატებით – მექსიკა 7 ქულით და ჩილე – 4 ქულით – მეოთხედფინალში გავიდნენ.

ერთობ დაძაბული გამოდგა ბრაზილია – ეკვადორის მატჩი. პირველ ნახევარში ვერც ერთმა გუნდმა შეძლო მეტოქის კარის აღება. ეკვადორმა მაინცდამაინც პენტაკამპეონებთან მოინდომა თავის გამოდება.

მართალია, ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელი დუნგა არ ეთანხმება იმ აზრს, რომ მათ ნაკრებში საუკეთესო რობინიოა და, რომ სწორედ მან გადაწყვიტა ყველა მატჩის ბედი. ბრაზილიელთა ახალ დამრიგებელს, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად თავისი რჩეული „ცსკაელი“ ვაგნერ ლავი მოსწონს.



და მაინც ამ შეხვედრაშიც, მეორე ტაიმის 56-ე წუთზე რობინიომ ეკვადორელთა კარში ბრწყინვალედ გაიტანა თავისივე მოპოვებული თერთმეტმეტრიანი და ამით მატჩის ბედიც გადაწყვიტა – 1:0.

თავისი 6 ქულით ბრაზილიაც, რასაკვირველია, მეოთხედფინალშია და წუხანდელი, უფრო სწორედ გამთენიისას დამთავრებული C ჯგუფის მატჩების შედეგები რომ ვიცოდეთ (იმ დროისთვის ჩვენი გაზეთი კარგახნის დაბეჭდილი იყო), ზუსტად გეტყოდით, თუ როგორ დაწყვილდნენ მეოთხედფინალისტები.



კაცმა გაალმერთა თუ
თვით განღმერთდა კაცი და
ვაჟას ნატვრა აღსრულდა –
გაწვიმდა და გვაწვიმდა...
ზვიადაურების და ალუდების ასხმაში...
ვყავდით რაზიკაშვილებს სიყვარულის თავსხმაში!



№ 130. პარასკევი, 6 ივლისი, 2007 წელი.

## ვაჟაობის ექო

ამა წლის 30 ივნისს ვაჟაობას ვეწვიე ჩარგალში და ის ღამე ამ ლექსმა თეთრად გამათენებინა.

გიზო ნიშნიანიძე

# მთის არწივს!



ექღვნება ვაჟას სისხლხორცს – ლელა და ზაზა რაზიკაშვილებს

*ვაჟას ვაჟაობაზე*
*სიტყვა-ღმერთს ვეახელი.*
*მოკითხვა გადავეცი მთას – მთაწმინდის სახელით,*
*სადაც განისვენებენ მართალნი და ნეტარნი –*
*ცათა შინა სწორები – მამანნი და დედანნი!*
*კაცმა გაალმერთა თუ*
*თვით განღმერთდა კაცი და*
*ვაჟას ნატვრა აღსრულდა –*
*გაწვიმდა და გვაწვიმდა...*
*ზვიადაურების და ალუდების ასხმაში...*
*ვყავდით რაზიკაშვილებს სიყვარულის თავსხმაში!*
*იდგა ქოხი წყლის პირას – ვით მუზების სასახლე,*
*მის საქუხარს ჰქუხდა და ხმას აწვდენდა სხვა სახლებს.*
*ვიდექი და მათრობდა სურნელება ლექსისა,*
*ის გამიგებს, ვინც იცის გემო მსგავსის ხეფსისა.*
*არც კალამი მეჭირა ხელში, არცა სასმელი...*
*ავდექი და გულში ვთქვი – გულის ყურით სასმენი!*
*...იგავმიუწვდომელო ვეჟო – ვაჟა-ფშაველავ!*
*რუსთველივით სთველო და განფენილო მთა-ველად.*
*რუს-თაველად!*
*რუდ კი არ –*
*თავად თავთუხ-თაველად –*
*მეგულები კაი ყმად!*
*კაი ვაჟად... ფშაველად!*
*მთქმელი, შენი ბადალი, მთას არც-როს არა ჰყოლია,*
*შენი სიტყვის სად არი, სიტყვა – ღმერთის ტოლია!*
*მთა-კაცს ძეგლად მთა გიდგას, ლექსებად მწვერვალები,*
*შენმა სიტყვამ გაავლო ეს ციცაბო ბწკარები...*
*შენმა სიტყვამ შეაღო ეს სამოთხის კარები,*
*შენი სიტყვა მოგვბღავის, როგორც მთიდან ხარები,*
*ბალახობას ნატრობენ ცვარ-ნამ-ნამტირალები –*
*ლექსის ნიაღვარები, ნაიალაღარები.*
*...ეს – არც ზღაპარი არი, არცა ცხადსა არა ჰგავს...*
*ცად-მიწამდე თავს ვუხრი –*
*შენს ჩარგალს და ჩვენს – ცარგვალს!..*
*შენი ჩარგალ-ფარგალი დრო და სივრცის მეტრია –*
*ეს 9 მთა და 9 ბარი – საქართველოს მკერდია!*
*კლდე-ღრე „შიბნ“ ჭიუხდება, ცა – სკდება, მთა – ქუხდება...*
*„ღვთის პირიდან გავარდნილ“ ლექსს მთის ჰავა უხდება!*
*... ფიწალივით ხელები –*
*...არწივივით მზერაა –*
*შენი ლექს-გახელება –*
*ჩვენი ბედისწერაა!!!*
*ტოლიც ხარ და*
*სწორიც ხარ –*
*ერთანაც და*
*ბერთანაც,*
*„მზე და მთვარე გფენია - ლაპარაკობ ღმერთთანა!“*
*...ადამის ძევ –*
*ღვთის შვილო –*
*მუზათ მუზაგეტი ხარ –*
*შენ, საკუთარ თავზედაც –*
*ერთი თავით მეტი ხარ –*
*„შენც იმ ჯოგიდამა ხარ“ –*
*კაცად ზილავ შენს თიხას –*
*აქანდაკებ სიტყვას და*
*არც იცი, რომ... ღმერთი ხარ!*

ჩარგალი. 30.06.07

## ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!

# გულს იმედი ჩაგვესახა

### კომპოზიტორთა კავშირში შემოქმედებითი ცხოვრება არ წყდება

**მიუხედავად ყველა სიძნელისა, ეკონომიკური და მორალური დისკომფორტისა, რომელიც ახლავს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ყოველდღიურობას, აქ არ წყდება შემოქმედებითი ცხოვრება. ყოველწლიურად იმართება ორი მასშტაბური კამერული კონცერტი, რომლებზეც სრულდება ჩვენი კომპოზიტორების ახალი ნაწარმოებები (სიმფონიური კონცერტების გამართვის საშუალება არ არის, რადგან უკვე კარგა ხანია გაუქმებულია ქართველ კომპოზიტორთა საბაზო კოლექტივი – ტელერადიოს რევაზ ლაღიძის სახელობის ორკესტრი).**

ზემოხსენებული კონცერტები იმართება კომპოზიტორთა კავშირის დარბაზში და მუსიკალური საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს.

ასე იყო ამჯერადაც, როდესაც პირველად შესრულდა ჩვენი კომპოზიტორების ახლადშექმნილი ნაწარმოებები. მსმენელთა ყურადღება მიიპყრო დიდი ფორმის ორმა ნაწარმოებმა. ვაჟა აზარაშვილის სონატამ ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის და გიორგი შავერზაშვილის „სამმა კონსტრუქციამ“ სიმებიანი კვარტეტისათვის. ორივე – მაღალი საკომპოზიტორო კლასის ნიმუშია. ვ. აზარაშვილის სონატა გამოირჩევა ფლეიტის ტემბრულ-ტექნიკურ გამომსახველობითი საშუალებების მრავალფეროვნებით, მუსიკალური ენის თანადროულობით, ქართული ეროვნული სტილის ნიშან-თვისებების შენარჩუნებით. სონატა ჩინებულად შეასრულეს დიმიტრი სტავრიანიდისმა (ფლეიტა) და ეკა გოგოლაძემ (ფორტეპიანო).

სერიოზული, კომპოზიციურად გამართული, თანამედროვე სტილისტიკის ნიშნით აღბეჭდილი ნაწარმოებია გ. შავერზაშვილის „სამი კონსტრუქცია“, დარწმუნებული ვარ, რომ იგი ისევე როგორც ვ. აზარაშვილის სონატა, დამკვიდრდება რეპერტუარში (გ. შავერზაშვილის ნაწარმოებს ასრულებდნენ ეკა საფარიშვილი, რუსუდან კიკნაძე, მარინა კუტუზიძე და სოფიო ხოსროშვილი).

მოვისმინეთ კიდევ ორი დიდი ფორმის ნაწარმოები: ნინო ზაბუკიძის საფორტეპიანო ტრიო და გიორგი დავითაშვილის სიმებიანი კვარტეტი. ორივე ნაწარმოებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მით უმეტეს, რომ ნ. ზაბუკიძისათვის ეს ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია საანსამბლო ინსტრუმენტალიზმის ჟანრში, ხოლო გ. დავითაშვილი ჩვენ წინ წარმოდგა საკმაოდ ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ.

მსმენელებს მოეწონათ სხვა შესრულებული ნაწარმოებებიც: ოთარ ტატიშვილის 3 პიესა ფორტეპიანოსათვის – „მთიელის სევდა“, „ბერიკა“, „მხედრული“ (ასრულებდა თამარ ლიჩელი), ზვიად ბუცხრიკიძის – „მასკარადში“ – მთხრობელისა და ფორტეპიანოსათვის ტიციან ტაბიძის ლექსზე (ასრულებდნენ რუსუდან ბოლქვაძე და გიორგი შავერზაშვილი), მზია დიაკვნიშვილის საფორტეპიანო სონატინა (შემსრულებელი – ნათელა კვირკველია), ირაკლი ცინცაძის „მოლოდინი“ ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (შეასრულეს ლელა მჭედლიძემ და ავტორმა), ბორის ნინიევის „ტრიპტიქი“ ფორტეპიანოსათვის (ავტორისეული შესრულებით), შალვა დავითაშვილის 6 რომანსი ქართველი პოეტების ლექსებზე (შემსრულებლები – მამუკა ტეფნაძე, მზია დავითაშვილი და სოფიო გოშაძე).

**რაც მთავარია, სასიამოვნო იყო ჩვენი კომპოზიტორების შემოქმედებითი აქტივობის დადასტურება, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გულს იმედი ჩაგვესახა“.**

გულბათ ტორაძე

## ხატოვანი გალერეა

# ხატავს მეფეებს, წმინდანებს, ბავშვებს...

**ბუდუ სირბილაძემ ქართულ მხატვრობაში ახალგაზრდობაშივე გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა. მან ძალიან შეიგრძნო ფერთა სიმფონიის საოცრება, ქართული ფერწერის საიდუმლოებანი, უძველესი კულტურის, ხუროთმოძღვრების, ჰიმნოგრაფიის, პოეზიის სიდიადე და თავისებურებანი.**

თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მხატვარმა, რომელიც სამოციანელთა სახელოვან დასს მიეკუთვნა, ცხოვრების აკადემია – ფერწერის შეცნობის, აღქმის, გააზრების სკოლა გაიარა და მრავალი ძიების შედეგად საკუთარი კრედო ჩამოაყალიბა: ადამიანის შინაგანი სამყარო მიკროკოსმოსია, საოცარი ანარეკლი უფლის მიერ შექმნილი სამყაროსი, რომელიც მშვენიერებით, ჰარმონიით, სიყვარულით იმოსება, კვდება და დღენიადაგ რწმენით და სასოებით იბადება.



„კოტე აფხაზი“

ეს არის მისი შემოქმედების დედააზრი – ადამიანი გვირგვინია სიცოცხლისა, სრულქმნილი შვილი ბუნებისა, ხატი უფლისა...

ენერგიული ჩუმი, უღალატო ხელოვნებაზე შეყვარებული. სიცოცხლე მისთვის ფერწერაა, ფერწერა კი სიცოცხლის გაგრძელებაა. ხატავს მეფეებს და მეცნიერებს, მწერლებს და მუსიკოსებს, წმინდანებს და ბავშვებს და ჰქმნის ხატოვან გალერეას ქვეყნის მრავალი თაობის, ჯალოსნურ ჯაჭვს წარსულისას, აწმყოსას, მომავლისას.

ბუდუ სირბილაძე საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლობის, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს „სამეფო პალიტრის“ ხელმძღვანელია.

ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულო 1990 წელს დაარსდა. აღორძინებულ თავად-აზნაურთა საკრებულოს წინამძღოლად 1997 წლიდან არჩეულია კოტე აფხაზის ღირსეული მემკვიდრე – თავადი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ჩოლოყაშვილი. ამავე წელს შეიქმნა მხატვართა გაერთიანება „სამეფო პალიტრა“.



ბუდუ სირბილაძე

ამას წინათ თავად-აზნაურთა საკრებულო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ მისი აღსაყდრების 25-ე და დაბადებიდან 70-ე წლისთავის გამო გამართულ მიღებაზე იყო მიწვეული.

იხ. 20 გვ.

# სხვადასხვა

● საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ან უმწვანილო ლობიო უნდა მივირთვათ, ანდა ქალაქში ფეხით ვიაროთ. მე თუ კაცი მკითხავს, ისევ ფეხით სიარული სჯობს, რადგან ამგვარად დაზოგილი ფულით უქმეებისთვის იქნებ იგივე ერთი კი არა და, შესაძლოა, კილონახევარი ლობიოს ყიდვაც შევძლოთ, რომელსაც ხალხმა, სხვათა შორის, სავსებით სამართლიანად შეარქვა „გაჭირვებისას საქართველოს გადამრჩენი“



№ 130. პარასკევი, 6 ივლისი, 2007 წელი.

⊙ ყოფა

## ლობიო, ყველას მჯობიო

**საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გაორმაგებასთან დაკავშირებით უკვე საკმაოდ ბევრი ითქვა მასმედიაში (მათ შორის, ცხადია, „საქართველოს რესპუბლიკაში“) და, დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრი ითქმება, რადგან ეს არ გახლავთ ერთჯერადი განსახილველი საკითხი, უფრო**

### რა სჯობს, უმწვანილო „საქართველოს გადამრჩენის“ ჭამა თუ ფეხით სიარული?



**სწორად, მარტო ერთი საკითხი კი არა, არამედ საკითხთა კონა. ჩვენ დროში, მოგეხსენებათ, ყველაფერი ისეა გადაბმული ერთმანეთთან, რომ ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიც სამგზავრო გადაზიდვაა, თუნდაც უმნიშვნელო ცვლილება, შესაძლოა, არა მყისიერად, მაგრამ თუნდაც გარკვეული დროის შემდეგ მაინც, თითქოსდა თვალის შეუმჩნევლად, მაგრამ „ჯიბის საგრძნობლად“, მომსახურებისა თუ რომელიც გნებავთ, სახეობის პროდუქციის ღირებულებაზე აუცილებლად აისახება.**

ახლაც ასე მოხდა. მაგალითისთვის მოვიყვან ჩვენში ისეთ ჩვეულ პროდუქტს, როგორიცაა მწვანილი. თუკი მანამდე ბაზარში ორ კონა მწვანილს 15 თეთრად მაინც უპრობლემოდ შეიძენდით (ქუჩაში მწვანილის გამყიდველები ხომ კონას 10 თეთრზე ნაკლებად არ ჰყიდდნენ, ახლა იმავე ბაზარში ერთი კონის ფასი უკვე 10-15 თეთრი გახდა, ქუჩაში კი ორი დღის წინათ აზერბაიჯანელმა ქალბატონმა ერთ კონა ქინძში (ამ გაგანია ზაფხულში!) 20 თეთრი მომთხოვა და მაზანდას არაფერი დაუწია (თუმცა საღამოვდებოდა, ანუ ის დრო იყო, როცა უკლებლივ ყველა მოვაჭრე საქონლისგან ხელის გაცლას ცდილობს და, შესაბამისად, დღის მანძილზე დადებულ ფასზე უფრო ნაკლებად ჰყიდის).

ახლა თქვენ ნახეთ, ზამთარში რა დაუჯდება ოჯახს ისეთი „პროზაული“ და ღარიბი ხალხის „მეგობარი“ კერძის დამზადება, როგორიცაა ლობიო, რომლის ფასმა წლეულს, ვგონებ, საქართველოს მშვიდობიანი არსებობის ისტორიაში „რეკორდი“ დაამყარა.

მეტროპოლიტენით და ავტობუსით მგზავრობის გაძვირების მიუხედავად, ძველ პოზიციებს, ყოველ შემთხვევაში სადღეისოდ მაინც, ჯერჯერობით ინარჩუნებენ თბილისში მოძრავი სამარშრუტო ტაქსები, რომლებითაც მგზავრობა ახლა უკვე, ფაქტობრივად, აღარაფრით განსხვავდება სხვა სახეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურისგან, ხოლო რამდენიმე მარშრუტზე სულაც უფრო ნაკლებია – 30 თეთრი, და ისინი, განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე დღეა, მგზავრებით გადაჭედილები მოძრაობენ. განა მარტო ეს არ კმარა იმაზე წარმოდგენის შესაქმნელად, თუ როგორ უჭირს ხალხს – ამ ფასად წასვლა-წამოსვლაში ხომ 20 თეთრი ეზოგება ხელმოკლე კაცს!

თუმცა, უკვე დიდი ხნის განმავლობაში მოარული ხმებით, სამარშრუტო ხაზების მფლობელებზე, მძღოლებზე ძლიერი ზეწოლა მიმდინარეობს – მგზავრობის საფასურს თქვენც მოუმატეთ, რომ ხალხისთვის საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილება უფრო „მომგებიანი“ იყოსო, ეუბნებიან მავანნი, თორემ თქვენს ლიცენზიებს... ასე და ისეო.

მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ან უმწვანილო ლობიო უნდა მივირთვათ, ანდა ქალაქში ფეხით ვიაროთ. მე თუ კაცი მკითხავს, ისევ ფეხით სიარული სჯობს, რადგან ამგვარად დაზოგილი ფულით უქმეებისთვის იქნებ იგივე ერთი კი არა და, შესაძლოა, კილონახევარი ლობიოს ყიდვაც შევძლოთ, რომელსაც ხალხმა, სხვათა შორის, სავსებით სამართლიანად შეარქვა „გაჭირვებისას საქართველოს გადამრჩენი“.

თან, იქნებ, ხახვის ფულიც მოგვრჩეს.

**ოთარ ტურაბელიძე**

## გახსენება

### თეიმურაზ მორგოშია



**ყველასთვის კარგად ცნობილი ჟურნალისტი თეიმურაზ მორგოშია ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. იგი 2000 წლის პირველ იანვარს გარდაიცვალა, ახალი წლის იმ დღეებში მის ოჯახში გლოვა იყო, წრფელი ცრემლებითა და დიდი გულისტკივილით გამოვეთხოვეთ... ახლაც, როდესაც მას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა, ოჯახის წევრებთან ერთად მეგობრებმაც მოვინახულეთ კუკიის სასაფლაოზე, გავიხსენეთ ჩვენი „ჯონი“, სიყვარულით ასე ეძახდა მას თეიმურაზ მეტრეველი. ყვავილებს შორის ყველაზე მეტად ვარდები უყვარდა, ჰოდა, ჩვენც მისი საფლავი წითელი ვარდებით შევამკეთ, ვთქვით აქეთური და იქეთური, გავიხსენეთ უნივერსიტეტის მართლაც დაუვიწყარი და მშვენიერი წლები...**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოყოლებული, თეიმურაზ მორგოშია დარჩა სანთელივით ანთებული პიროვნება, რომელსაც არ მიჰკარებია ამქვეყნიური შური და მტრობა, იგი ყოველთვის და ყველაფერში წმინდა და კეთილშობილი იყო. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მას არავისთვის ბოროტება არ გაუკეთებია, არც ერთი ადამიანის ბედში ცუდი როლი არ შეუსრულებია.**

**საფლავზე მისული მეგობრები ვიხსენებდით, თუ რატომ არ გვწყენია რაიმე მთელი 35 წლის მანძილზე. ალბათ, იმიტომ, რომ საოცრად გულწრფელი და მართალი, ბავშვივით ალალი იყო. ჩვენ ახლაც გვესმის თეიმურაზის სიტყვები: ერთმანეთს გაუფრთხილდით, ერთმანეთი არ დაკარგოთო...**

**მეგობრებთან მოლხენა და პურის ჭამა უყვარდა. თეიმურაზ მეტრეველის თავკაცობით ხშირად ვიკრიბებოდით, პურობას არ დააკლდებოდა, ჯიბეზე ხელის „გასმასაც“ ვერავინ მოასწრებდა, თავის წილს უშურველად გასცემდა. იყო დინჯი, აუჩქარებელი, კამათის დროს თუ მართალი არ იყო, იცოდა უკან დახევა, ბოდიშსაც მოიხდიდა, ხომ არ გაწყენინეთო...**

**მისი ადამიანებისადმი, კოლეგებისადმი დამოკიდებულება ყოველთვის ალალი და გულწრფელი იყო. ამის დასტურია მისი წიგნები: „ავსა და კარგზე“ და „მე და სპორტი“. ცოდნითა და სიყვარულით არის გამთბარი ამ წიგნებში დაბეჭდილი წერილები, პორტრეტები. მის წერილებში ნათლად ჩანს განსწავლულობა და ჟურნალისტის მაღალი გემოვნება... სულ მალე გამოვა მისი მესამე წიგნი – „სიყვარულით დაწერილი სტრიქონები“, რომლის რედაქტორია თეიმურაზის ერთგული მეუღლე, ცნობილი ჟურნალისტი ლილი მაისურაძე-მორგოშია.**

**იმედია, სამზეოზე გამოსული მისი ახალი წიგნი კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ამქვეყნიურ ამაოებაზე, დაგვაპურებს სიყვარულით და კიდევ ერთხელ გაგვახსენებს ჩვენს გულთბილ მეგობარს, ჟურნალისტსა და პიროვნებას – თეიმურაზ მორგოშიას...**

თსუ 754-ე ჯგუფელების სახელით
**ჯემალ გორდულაძე,**
**რეზო აიწურაძე.**

## ⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვცხოვრობ რაიონში, ვარ რეპრესირებული პენსიონერი. 2003 წლიდან გათავისუფლებული ვიყავი კომუნალური გადასახადებისაგან. საბუთები წარდგენილი მაქვს შესაბამის სამსახურში. 2007 წლიდან ეს შეღავათები გაუქმდა. ვიხდი გადასახადებს, მაგრამ თურმე, გამგეობას ადრე გადასარიცხი თანხა არ ჩაურიცხავს და ისევ ვალად მადევს. რა ვქნა, ვის მივმართო და როგორ მოვიქცე?**

**დ. მაისურაძე**

**პასუხი:** თქვენი შეკითხვიდან გაურკვეველია, კერძოდ, რა სახის კომუნალური გადასახადისგან გათავისუფლებაზე გაქვთ ლაპარაკი. ამიტომ, პირობითად გაცნობებთ, რომ რაიონში მცხოვრები რეპრესირებული პენსიონერები 2003 წლიდან, კანონის თანახმად, ყველა სახის კომუნალური გადასახადისაგან გათავისუფლებული, სამწუხაროდ, არ ყოფილან. ელექტროენერგიის გადასახადის გადახდის დროს მათ ჰქონდათ გარკვეული შეღავათი.



2007 წლის 1 იანვრიდან მოხდა შეღავათების მონეტიზაცია (ე.ი. გარკვეული თანხის გაცემა, შეღავათის სანაცვლოდ) პენსიონერთა ზოგიერთი კატეგორიისათვის. აღნიშნული დროიდან, თქვენ, როგორც რეპრესირებულს, კომუნალური გადასახადების დასაფარავად, პენსიის გარდა, ყოველთვიურად გეკუთვნით 7 ლარი.

* * *

**კითხვა: ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომაში მაქვს 8000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. 2005-2006 წლების წყალდიდობის დროს ადიდებულმა ლაგოდეხის ხევმა კალაპოტი შეიცვალა და მთლიანად წალეკა ჩემი ნაკვეთი, ისე, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსაყვანად უვარგისი გახდა. გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა აღნიშნული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ სხვა მიწის ნაკვეთი და ვის მივმართო?**

**მ. დენტოშვილი**

**პასუხი:** თქვენთვის ახალი მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესაძლებლობის საკითხი მოითხოვს დამატებით შესწავლას. გირჩევთ, აღნიშნულ საკითხზე მიმართოთ თქვენი რაიონის გამგეობას.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

**სააქციო საზოგადოება „თბილსრესმშენი“ აცხადებს:**

2007 წლის 27 ივლისს, პარასკევს, 14 საათზე შედგება აქციონერთა საერთო კრება. მისამართი: 0179, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №39 (საზოგადოების ოფისი ქ. თბილისში).

**დღის წესრიგი:**

1. 2006 წლის სამეურნეო-ფინანსური ანგარიში;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევნები.

**დირექტორატი,**
**სამეთვალყურეო საბჭო**

**სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული ექიმი პარაზიტოლოგი**

**თამარ ილიას ასული კვერნაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მეცნიერ თანამშრომელ ანნა მისკალიშვილს მამის**

**ალექსანდრე შარაბიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**მეუღლე დოდო, შვილები მაია, მიშიკო აბესაძეები, ძმა იუზა აბესაძე, შვილიშვილები ნინო, მარიამ აბესაძეები, ნინო, ნიკა იაშვილები, ძმისწული ნათია აბესაძე, რძალი ცისია ლაზაშვილი, სიძე დავით იაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**მურთაზ მიხეილის ძე აბესაძე**

**პანაშვიდი 6, 7 VII, 17 სთ. დაკრძალვა 8 VII, 14 სთ. დიღმის მასივი, მე-5 კვარტალი, მე-2 კორპ.**

---

**ძმა იუზა აბესაძე, რძალი ლიანა ბოლქვაძე, ძმისწული ნათია აბესაძე ოჯახებით იუწყებიან**

**მურთაზ მიხეილის ძე აბესაძის**

**გარდაცვალებას.**

---

**მამიდაშვილი დოდო ჭანტურიძე და ბიძაშვილი თენგიზ აბესაძე ოჯახებით იუწყებიან**

**მურთაზ მიხეილის ძე აბესაძის**

**გარდაცვალებას.**

---

**ცოლისდა მანანა არნაძე ოჯახით იუწყება**

**მურთაზ მიხეილის ძე აბესაძის**

**გარდაცვალებას**

---

**შპს „მშენებელი – 6“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ დირექტორს იუზა აბესაძეს ძმის**

**მურთაზ მიხეილის ძე აბესაძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**შპს „თბილმეტრომშენის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი სპეცსამონტაჟო სამმართველოს უფროსის, ბატონ თემურ ჯაფარიძის დედა**

**ირინა ჯაფარიძე**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

# ბოლო გვერდი

● „ჩვენი უპირველესი სურვილი იყო, რომ ერთად ვყოფილიყავით, გაერთიანებულიყო ჩვენი ერი. ვფიქრობ, ეკლესია ის სულიერი და ღვთაებრივი ძალაა, რომელიც ამთლიანებს ჩვენს ერს და მომავალშიც გაამთლიანებს“... ქვეყნის სულიერი მოძღვრის ეს სიტყვები გულში ჩაიბეჭდა...



## ◉ ხატოვანი გალერეა

# ხატავს მეფეებს, წმინდანებს, ბავშვებს...

**(მეთვრამეტე გვერდიდან)**

უწმინდესმა და უნეტარესმა ასე მიმართა მათ:

„ქალბატონებო და ბატონებო, ნამდვილად ბედნიერი დღეა დღეს: ბედნიერი არა იმიტომ, რომ ჩემი აღსაყდრების 25-ე და დაბადების 70-ე წელს აღვნიშნავთ, არამედ იმით, რომ ჩვენ ერთად ვართ: მე მახსენდება 1997 წლის პირველი დღეები. ჩვენი უპირველესი სურვილი იყო, რომ ერთად ვყოფილიყავით, გაერთიანებულიყო ჩვენი ერი. ვფიქრობ, ეკლესია ის სულიერი და ღვთაებრივი ძალაა, რომელიც ამთლიანებს ჩვენს ერს და მომავალშიც გაამთლიანებს“... ქვეყნის სულიერი მოძღვრის ეს სიტყვები გულში ჩაიბეჭდა...

თავად-აზნაურთა და მათთა ნადგომთა საკრებულოს გამგეობა მის ხელმძღვანელთან ქალბატონ ია ბაგრატიონ-მუხრანელთან ერთად იზიარებს აზრს, რომ მხოლოდ მონარქიას და მონარქს, რომელიც ერის სინდისის, ტრადიციის, გენეტიკური კოდის გვირგვინია, მართლმადიდებლობას კათოლიკოს-პატრიარქს და სამღვდელოებას ძალუძთ, საქართველოში ბაგრატოვანთა უძველესი დინასტიის აღდგენა. ეს აზრი ბუდუ სირბილაძის საიუბილეო საღამოზეც გახმიანდა, რომელიც მხატვრის მთავრესი კრედოა.

„სამეფო პალიტრამ“ 1997 წლიდან დღემდე მრავალი გამოფენა მოაწყო: „ჭადრაკის დედოფალი – ნონა“. „თავისუფალი გამოფენა“, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, „კავკასია ჩვენი საერთო სახლი“ და სხვა.



„ქაქუცა ჩოლოყაშვილი“

მაგრამ, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 170 წლის გამო გამართული გამოფენა, – „საქართველოს მეფეები და უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე“. ძარვასლაში მრავალი ადამიანი მობრძანდა. მხატვრები ქართველ მეფეებს ამაღლებულ გულისთქმას უძღვნიდნენ.

მათ შორის ფერთა ორიგინალური ჰარმონიით გამოირჩეოდა ბუდუ სირბილაძის ნამუშევრები და თითქოსდა, ადასტურებდნენ თავად მხატვრის შეხედულებას ხელოვნებაზე – სამყარო წყაროა სილამაზისა და მშვენიერების, მისი აღქმა, აღმოჩენა ხელოვანის უფლება, ვალი და მოვალეობაა...

დაბოლოს, ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლობამ, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულომ გვთხოვა გაზეთით მიელოცათ „სამეფო პალიტრის“ ხელმძღვანელისთვის ბუდუ სირბილაძისთვის დაბადების დღე, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით აღმავლობას უსურვებენ მხატვარს.



„მთაწმინდა“

**ნატა ნიბლაძე**

## ◉ ინფორმაცია

# გართობა სუპერმარკეტის ნაცვლად

**პოლიტიკური მოძრაობა „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ცენტრალური სუპერმარკეტის შესასვლელთან გუშინ მოვაჭრეებს შეხვდა.**

როგორც ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, ხელისუფლება აპირებს, ცენტრალური სუპერმარკეტის მაგივრად ფეშენებლური სასტუმრო ააშენოს, სადაც განთავსებული იქნება საუნა, კაზინოები და სხვადასხვა გასართობი ცენტრები.

„ეს არის ყოვლად დაუშვებელი და უკანონო მაშინ, როცა სახელმწიფოში 80 პროცენტზე მეტი ღარიბი ადამიანი ცხოვრობს“, – აღნიშნა მან.

ბაღათურიამ მოუწოდა ცენტრალურ სუპერმარკეტში მომუშავე ადამიანებს, მომავალი კვირის ორშაბათს, 14 საათზე თბილისის მერიის წინ შეიკრიბონ და გამოხატონ თავისი პოზიცია.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ გვემრავლოს!

# ქრისტინე მესხეთში მეხუთე შვილს ჩაიყვანს



**საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლიდან დირექტორის მოადგილემ ირინა ბიბილეიშვილმა გვაუწყა:**

– ჩვენთან მესხი გოგონა დაიბადა. ის ბოჩიკაშვილების ახალგაზრდა ოჯახის მეხუთე შვილია. ქრისტინე 27 წლისაა, მისი მეუღლე – 35-ის, ორივენი ადიგენის რაიონის სოფელ უდედან არიან.

მათ სამშობიარო სახლში მივაკითხე.

– ჩემს სოფელში მესხები ცხოვრობენ. ანთიმოზ ივერიელი ჩვენი სოფლიდან იყო. ორი საჯარო სკოლა გვაქვს. მე-2 სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი. შინ ნანული, ნინო, საბა და დავითი ელოდებიან დაიკო თამარს.

ქრისტინემ ადვილად მოილოგინა. მშობიარობის წინ ის უწმინდესმა და უნეტარესმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დალოცა.

მე-5 შვილის დედას საჩუქარიც გადასცეს – ის, რაც პატარა თამრიკოს უპირველესად დასჭირდება. ქრისტინე მადლიერია სამშობიარო სახლის სამედიცინო პერსონალისა და რაულ მანგალაძის, რომელმაც ქრისტინე ამშობიარა. ივნისში აქ 100-ზე მეტი ჩვილი დაიბადა. იმ დღესაც 7 ბავშვი მოევლინა ქვეყანას.

სამშობიარო სახლიდან გაწერის წინ იღუმენმა ადამმა (ახალაძემ) დალოცა ბოჩიკაშვილების ოჯახი.

**ხუთი შვილი მართლაც შვილია!**

**ნათელა ფაილოძე**

## ◉ ლარის კურსი

**6 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3650 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6685 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2770 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0650 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9508 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4919 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3191 ლარი. |

## ◉ ანეკდოტები

ქალი გვიან ღამით პარკის გავლით ბრუნდება სახლში. ხედავს, უკან კაცი მოჰყვება. ნაბიჯს აუჩქარა, კაციც აჩქარდა. გაიქცა, კაციც გამოედევნა. ხელჩანთა გადააგდო, უკან მოიხედა. კაცს ჩანთისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, მოსდევს! ქურქი გაიხადა და კაცისკენ მოისროლა. კაცმა ქურქსაც გვერდი აუარა და კვლავ ქალს მოსდევს.

სასოწარკვეთილი ქალი ლამის კივის:

– მეტი რა ვქნა! ფული არა მაქვს, არა!!!

– არ მინდა ფული! უფულოდ იყოს, უფულოდ!



* * *

– ჩემი ცოლი ნამდვილი სულელია. სრული იდიოტია!

– რაო, პატარა ხელფასი აქვს?

– რას ამბობ, ჩემზე ოთხჯერ მეტს იღებს.

– სადილს ცუდად ამზადებს?

– არა, კაცო, რესტორნის კერძებზე უფრო გემრიელს ამზადებს.

– მანქანას ატარებს ცუდად?

– ცუდად ატარებს კი არა, მე საერთოდ არა მაქვს მართვის მოწმობა, მას დავყავარ.

– აბა რა, დაბალი ინტელექტი აქვს?

– დაბალი კი არა, მეცნიერებათა დოქტორია.

– აბა, რატომ არის სულელი?

– ერთი გენახა, გუშინ რა ანგარიშით მოვუგე „დურაჩკა“

* * *

სამხედრო მაღალჩინოსანთა შვილები პირდაპირ ოცდაშვიდი წლისანი იბადებიან.

* * *

ქალი გემზე – ეს არის სიამოვნება უბედურების წინ...

* * *

– იცი, გუშინ დილით ისე ცუდად ვიყავი, რომ გადავწყვიტე, თავი მომეკლა ასი აბი ასპირინის დალევით.

– მერე?

– მერე აბის დალევის შემდეგ თავი უკეთ ვიგრძენი.

## ◉ კადრი




**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576


გაზეთის დღევანდელი ნომერი ოცგვერდიანია.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14.
ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12.
ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.